619
1978




# დროშა

იანვარი
№ 1 1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გილოცავთ ახალ წელს!

ახალგაზრდებო, სალამი თქვენდა!
აჰა, ნათელი დღე გაგითენდათ!
თქვენი გულ-მკერდი დამიკოცნია,
ახალი წელი მომილოცნია!
ლენინის დროშა გიპყრიათ ხელში!
ასწიეთ მაღლა! გასწორდით წელში!
თქვენმა მშობლებმა მსხვერპლი გავიღეთ...
ბედნიერების კარი გაგიღეთ!
და რაც ჯერ კიდევ მოსამკალია,
დააგვირგვინოთ — თქვენი ვალია!
თუ ცხოვრებაში გაგიჭირდებათ,
მის დასაძლევად შრომა გჭირდებათ!
საამაყონი მაშინ იქნებით,
როცა შეიძენთ ცოდნას წიგნებით!
გზა გაქვთ სავალი მკვიდრად ნაგები...
ხართ მომავლისთვის მოამაგენი!
და როცა იწყებთ ამ ჩვენს ხანაში
შრომას ველ-მინდვრად ან ქარხანაში,
მიზანი წმინდა გულში ატარეთ!
და თქვენთან ერთად სხვაც ანეტარეთ!

სანდრო შანშიაშვილი
28 დეკემბერი, 1977 წელი.



# გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ ტიხონოვი

## ახალი წლის ზღურბლთან

ჩვენ გამარჯვებით დღემდე მოვედით,
მშვიდობის წლები შემოგვეთვისა.
მე მაგიდაზე მიდევს ყოველთვის
ასლი დიდებულ „ქართვლის დედისა“.

ელვარე ქანდაკს მივაპყრობ თვალებს, —
ხელთ მახვილი და თასი აქვს მუდამ.
და მე ვიგონებ თქვენს ოქრო მხარეს,
ვუფრთხილდებოდეთ რომელსაც უნდა.

რუსთავის ცეცხლს და ვაჟების ღიმილს
მას შთაგონება შუქად მიაშლის.
ჟღერს პოეზიის ფოლადის სიმი
მთელი ცხოვრების გუგუნ-გრიალში.

კოსმოსის მაღალ სივრცეთა სული
თბილისურ ვარსკვლავთ ელვას ედება.
მე თბილისელებს ვუსურვებ გულით
მარად ბედნიერ შემოქმედებას.

დე, მოძმე ხალხთან მხარდამხარ ყველას
მშვიდობის წლების გაეღოს კარი.
სოფლად, ქალაქად, მთაში და ჭალად
ბარაქის წლების გერეკოთ ზარი!

გვემახსოვრება, რაც კი გაქვთ ღვაწლი,
ოცნება კვლავაც წინ გაგიტაცებთ.
ხარობდეს მარად კეთილი კაცი
თქვენს უბერებელ ქართულ მიწაზე!

თარგმნა ლადო სულაბერიძემ



ეს ლექსი ნიკოლოზ ტიხონოვმა დაწერა ჩვენი ჟურნალისათვის.

15863

1978



აი, ახალი, 1978 წელიც დადგა. მასთან შეხვედრისას გონების თვალს ვავლებთ იმ დღეებსა და თვეებს, რომლებიც გამოვიარეთ ახლახან გარდასულ 1977 წელს და ვაფასებთ მათ მომავალის პოზიციებიდან, მათი ისტორიული მნიშვნელობის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ 1977 წელი დიდ ისტორიულ მოვლენათა წელი იყო.

რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენთაგანს შარშან ჰქონდა თავისი სიხარული და წარმატებები, მიღწევები და გამარჯვებები. იოლი არ ყოფილა მათი მოპოვება; ყოველ გამარჯვებას წინ უძღოდა მრავალი დღისა და თვის შეუპოვარი, თავდაუზოგავი შრომა. მაგრამ მით უფრო სასიხარულოა წარმატება, მით უფრო სასიამოვნოა გამარჯვება, რაც უფრო მეტი ძალ-ღონეა დახარჯული, რაც უფრო ძლიერია სწრაფვა მიზნისაკენ. ამ, დღეს უკვე ანბანურ ჭეშმარიტებაში, მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როდესაც ვესწრებოდი თქვენი მზიური რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში გამართულ მშდ კომპლექსის ფინალურ შეჯიბრებას გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. იმიტომ, რომ სწორედ სპორტში ვლინდება ძალუმად ადამიანის ხასიათის ინდივიდუალური თვისებები, მისი შეუპოვრობა და ნებისყოფა, გამარჯვებისადმი სწრაფვა და მისი მოპოვების გზაზე აღმართული ყველა სიძნელის დაძლევის უნარი. იმიტომ, რომ სპორტი ადამიანში ანვითარებს სიძლიერეს, გაბედულებას, უმუშავებს ნებისყოფას. ყოველივე ეს კი მაშინვე თავს იჩენს მუშაობაში, რა უბანზეც არ უნდა შრომობდეს ადამიანი.

და კიდევ ერთი ძვირფასი რამ შევიძინე საქართველოში სტუმრობის იმ ერთი კვირის მანძილზე: თავდავიწყებით შემიყვარდა თქვენი შესანიშნავი რესპუბლიკა, მისი საოცარი ბუნება, მისი გულთბილი, სტუმართმოყვარე ადამიანები. ეს სიყვარული მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე გამყვება. და ახალ წელს რომ ვხვდები, მინდა მთელი სულითა და გულით წარმოვთქვა საქართველოს აყვავების, მისი ხალხის გამარჯვების სადღეგრძელო.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჟურნალ „დროშის“ მეშვეობით ვუსურვებ მზიური საქართველოს ყველა მშრომელს ბედნიერებას, წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

**ალექსი ლეონოვი,**
ავიაციის გენერალ-მაიორი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი.





სულითა და გულით ვულოცავ ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს ახალ, 1978 წელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, შემოქმედებითს წარმატებებს და ყველა დასახული გეგმის განხორციელებას.

მე ყოველთვის განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის თქვენ შესანიშნავ რესპუბლიკაში ჩამოსვლა. სამხატვრო თეატრთან ერთად არაერთხელ ვყოფილვარ თბილისში, ქუთაისში, მონაწილეობა მიმიღია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მუშაობაში. მზიურ და სტუმართმოყვარე საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს, მათთან დაკავშირებული ვარ მრავალი წლის მჭიდრო ურთიერთობით; ესენი არიან ქართული სცენის პატრიარქები და ნიჭიერი ახალგაზრდობა. სწორედ მათ, ჩემს თანამოძმეთ, კულტურისა და თეატრის მოღვაწეთ ვუსურვებ დიდ შემოქმედებითს მიღწევებს.

**მიხეილ ცარიოვი,**
სსრ კავშირის მცირე აკადემიური თეატრის დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი.



სახ. საქ. რესპუბ.



სულ ცოტა ხნის წინათ სახოებით მეკავა ხელთ უძვირფასესი ყურძნის მტევანი და ჩემს ბაგეთ ჭერაც დაჰკრავს იმერული მაჭრის გემო. ახლა კი უკვე თოვს და მე, მთელი არსებით ქართულ მიწაზე ფიქრით შეპყრობილი, ვულოცავ უველა მის მკვიდრს ახალი წლის შემობრძანებას.

გულს დაუფლებია ის საოცარი ხიბლი, რომელიც ყოველთვის აცისკროვნებს ჩემს არსებას, როცა კი საქართველოში ვარ ან მასზე ვფიქრობ.

ძვირფასო მეგობრებო, დიდ მადლობას გიძღვნით სიკეთისათვის, რომელიც ჭერაც არ გადამიხდია, კეთილშობილური შრომისათვის, ამაღლებული ფიქრებისათვის. ვოცნებობ და ვიმედოვნებ, რომ 1978 წელი ბედნიერებას მოგიტანთ. ყოველთვის თან მდევს სურვილი თქვენი ხილვისა და თქვენი ხმის გაგონებისა, თქვენდამი სამსახურისა — რაოდენაც ეს ძალმიძს.

თქვენი ბელა ახმადულინა

გამოუთქმელი ნეტარებაა
ამ საახალწლო თოვლის ბრჭყვიალი...
გიახლოვდება თითქოს ვილაცა
ბედნიერების სავსე ფიალით...
ყოველ ვიტრინას ამშვენებს ფოლგა,
კლავს მარტოობას ქუჩის ხმაური...
ო, როგორ მხიბლავს, ო, მიყვარს როგორ
ეს საახალწლო იერზაური!
ნაძვის ხეებში ჩამდგარი შუქი
სულში უხილავ ძალად ენთება
და სიყვარულის მარადმწვანე რტო
კვლავ სასწაულთა რკალს უერთდება.
ნაძვი და ესე უცხო სინაზე,
სით მოგვევლინენ, სად იყვნენ უწინ,
სად ბინადრობდნენ, როგორც შეთქმულნი,
თვის სათნოებას გვალვრიდნენ ძუნწად?
ახლა მოსულან, როგორც ბავშვები,
და გადარაზულ კართა წინ ჰგიან...
მე დამავიწყდა კიდეც ლოდინი...
აჰა, კარები იმათთვის ღიაა!
ო, ნეტარებავ — უნდა გადაწყდეს
(და წარმოადგენს საკითხს ურთულესს!),
უკეთ რომელი კუთხით იბრწყინებს,
საით დავკიდოთ შუშის ბურთულა!
გვიყვარდეს მხოლოდ! ო, სათნოებავ,
შენ გეღებოდეს გულის კარები,
(სხვას არც ვინატრებ!) და ვჭვრეტდე ისევ
მე ამა სოფლის იდუმალებას!

თარგმანი ანა კალანდაძისა



# ხუთწლედის ადამიანები

# ზარათელები—

რიონის ხეობაში ბინდი ჩამოწვა.

კვენკოულისა და კვაზნოურის ფერდობებზე შეფენილ ოდა-სახლებში ნათურები აკაშკაშდნენ.

სოფელ ზარათის კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელებს მოეყარათ თავი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გრიგოლ მალლაფერიძემ ყურადღებით მოუსმინა ბრიგადირებს, განვლილი სამუშაო დღის შედეგები შეაჯამა, ხვალინდელი დღის სამუშაოები გაანაწილა და ის-ის იყო, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, რომ კარი ვილაცამ შემოაღო.

— მობრძანდი, შოთა! — თვალი შეასწრო თავმჯდომარემ საშუალო ტანის თმაშევერცხლილ კაცს, რომელიც უკან გაბრუნებას აპირებდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა შოთა ძოწენიძე კაბინეტში შეკრებილებს და თავმჯდომარის მაგიდაზე მორიდებით დადო რაღაც ქაღალდი.

თავმჯდომარემ ყურადღებით ჩაიკითხა განცხადება, ხელმეორედ გადაათვალიერა და გაოცებული შეეკითხა ახლად მოსულს:

— მართლა გინდა სოფელში დაბრუნება?

როცა დასტურის ნიშნად თავი დაუქნიეს, გაოცებულმა თავმჯდომარემ ეს შეკითხვა მიაგება შოთა ძოწენიძეს:

— მაინც, სად გინდა იმუშაო?

— სადაც სოფელს სჭირდება, — შოთა წამით ჩაფიქრდა და მაშინვე დასძინა, — თუ გინდათ, ჩაის ნაკვეთი გამიპიროვნეთ.

— ბარაქალა შენს კაცობას! — ჩაილაპარაკა შეკრებილთა შორის ვილაცამ და ქალაქიდან მშობლიურ სოფელში მობრუნებულმა 44 წლის ვაჟკაცმა შოთა ძოწენიძემ ნათლად იგრძნო, რომ ეს ვილაცა მთელი სოფლის გულისთქმას გამოხატავდა.

მას შემდეგ ორიოდე წელი გავიდა.

წყალტუბოს ზონის სოფელ ზარათში შოთა ძოწენიძე დღეს ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეა. თავისი სიალალმართლით, საქმისადმი სიყვარულით, დღენიადაგ უანგარო შრომით მან თანასოფლელთა საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ამას წინათ საშუალება მომეცა პირადად მენახა და გავსაუბრებოდი შოთა ძოწენიძეს.

— ქალაქში ალბათ კარგად ვერ მოეწყვეთ? — შევეკითხე მას.

— ქუთაისში პროფტექნიკური სასწავლებელი დავამთავრე და იქვე, ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხანაში დავიწყე მუშაობა.

მოსაუბრემ თვალი გამისწორა და განაგრძო:

— საკმაოდ კარგ ხელფასს ვიღებდი. ავტოქარხნიდან ბინაც მომცეს, როცა სოფელში გადმოვედი, ეს ბინა ისევ ქარხანას ჩავაბარე.

— რამ განაპირობა თქვენი სოფელში დაბრუნება?

ალბათ იმანვე, რამაც სხვებს უკარნახა სოფელში დაბრუნება. ზარათში ამ უკანასკნელ ხანებში სოფლიდან წასული 12 ოჯახი დაუბრუნდა მამაპაპისეულ კერას. ისინი ახლა საკოლმეურნეო შრომაში არიან ჩაბმულნი და სამაგალითოდ შრომობენ.

— ერთხელ შევიტყვე, რომ სოფელში მუშახელი აკლდათ, — ჩაფიქრების შემდეგ განაგრძობს საუბარს შოთა ძოწენიძე, — ძნელია იმისი თქმა, რა გრძნობაც დამეუფლა!.. ავტოქარხანაში მუშაობა სასიამოვნო და საამაყოა, მაგრამ გულმა სოფლისკენ გამომიწია. იმ ფუძეს, სადაც დავიბადე, სადაც ჩემი მეზობლები თავდადებით შრომობდნენ, მუშახელი აკლდა!.. მე იქ უფრო საჭირო ვიყავი, ვიდრე ქალაქში... სხვანაირად არ ვიცი, როგორ აგიხსნათ... გული მეუბნებოდა, რომ ჩემს სოფელს, ჩემს ხალხს უნდა ამოვდგომოდი გვერდში... თუ საჭირო გახდა, არც შორეულ ტყეებსა და მთებში მოვერიდები მუშაობას.

მართლაც, ბარაქალა შენს კაცობას! ეს სიტყვები შეგვიძლია სიამოვნებით გავიმეოროთ მშრომელ ვაჟკაცზე, თავის ხალხისათვის გულანთებულ და მებრძოლ შოთა ძოწენიძეზე.

* * *

ზარათში როცა სიტყვა წელგამართულ ოჯახებზე ჩამოვარდება, ერთ-ერთ პირველთაგანს ილიკო ხვანიძის ოჯახს დაგისახელებენ ხოლმე.

ილიკოს მეუღლე ნაზი საშუალოზე ოდნავ მაღალი, შუახნის ქალია. მის ხორბლისფერ სახეს შრომის მადლი დასტყობია, თაფლისფერი, თვალებიდან სიკეთე და სიამტკბილე იხედება.

როცა ნაზი სისხამ დილით ხციის ხეობას ჩაუყვება, ისე მიაბიჯებს, შეიძლება იფიქროთ, ასე ზანტად მიმავალი ქალი შრომის მოწინავე აბა როგორ არისო.

მაგრამ სულ სხვაა ნაზი ხვანიძე ჩაის პლანტაციაში. დუყებწამოზრდილ ბუჩქებს შორის ჯარასავით ტრიალებს, წუთსაც არ კარგავს უქმად, მანქანასავით სწრაფად ამოძრავებული თითებით პირთამდე ავსებს გოდრებს „მწვანე ოქროთი".

ბავშვობიდანვე შეეჩვია ნაზი ჩაის პლანტაციებს. მშობლიურ სოფელ ოფურჩხეთში მოწინავე მეჩაიედ ითვლებოდა, მერე ზარათელთა რძალი გახდა, უფრო გაიწაფა ჩაის კრეფაში და ახლა არავის უდებს ტოლს.

ახლად შექმნილ ოჯახს მალე ახალი სიცოცხლე შეემატა. პირველ შვილს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე, მეხუთე.

დაძაბულ შრომაში გარბოდნენ წლები. ცოლ-ქმარი ხვანიძეები არც ოჯახს აკლებდნენ მზრუნველობას და კოლმეურნეობაშიც მუდამ თავდადებით შრომობდნენ.

წამოზრდილი შვილები საიმედოდ შეეხიდნენ მშობლებს მხარში. შარშან ზარათელთა საკოლმეურნეო სავარგულებში ხუთი ადამიანი ტრიალებდა ილიკო და ნაზი ხვანიძეების ოჯახიდან, შრომის ნაყოფიც მოიმკეს: ოჯახის შემოსავალმა კოლმეურნეობიდან 10.000 მანეთამდე მიაღწია. მარტო ოჯახის დედამ — ნაზი ხვანიძემ ჩაის პლანტაციაში 12 ტონა ხარისხოვანი ნედლეული მოკრიფა.

წელს, ხუთწლედის მესამე წელს, ხვანიძეების ოჯახს გადაწყვეტილი აქვს, უფრო მეტი მონდომებითა და თავდადებით მიეძალოს საქმეს.

საიუბილეო წლის სტარტი გრძელდება, ღრმავდება. სამშობლო მეტ და უფრო მაღალხარისხოვან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს მოითხოვს.

— წლევანდელი წლის წარმატებაში მნიშვნელოვნად შეგვიწყობს ხელს ჩაის პლანტაციების მოვლის ბრიგადული სისტემა, — ფიქრიანად გვეუბნება ნაზი, — ეს მეთოდი კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობას გვაძლევს ბრიგადის წევრებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება. სოცშეჯიბრი კი ჩვენი განუხრელი წინსვლის, ჩვენი შემდგომი გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

* * *

ვარლამ მაღლაფერიძე დაბალი, თხელი მოხუცია, პირხმელ სახეს მოხდენილად დაწკეპილი ულვაშები უმშვენებს. დაფანჩული წარბების ქვეშ მუდამ ვერცხლისწყალივით მოძრაობენ მისი მეტყველი თვალები.

ვერა, ვერ იტყვით, რომ ამ გამართულად მოსიარულე ჭარმაგ კაცს ბეჭებზე უკვე 85 წლის სიმძიმე აწევს.

— სტუმარი მომყავს, ვარლამ ბიძია, — ეხმიანება ჭიშკართან მიმდგარი თავმჯდომარე ვარლამ მაღლაფერიძეს და თან ღიმილით გადმომცქერის.

— აგაშენა ღმერთმა, — გაწკეპილ ულვაშზე ისვამს ხელს კმაყოფილი მოხუცი, — სტუმარი ღვთისაა! მობრძანდით, ბატონო, იცოდეთ, ჭიშკარს გადაღმა არ გადავალ!

— ჭიშკარს გადაღმა არ გადავალ, ეგ რაღაა? — ყასიდად იოცებს გრიგოლი და ეზოში მიმიძღვება.

— რავა, პირველად გესმის თუ? — იღიმება მოხუცი და ახლა მე შემომცქერის, — წინათ ზარათელს ვინმე რომ სტუმრებოდა, ოჯახის წევრები უმალ მეზობლებში დაიფანტებოდნენ. ზოგი სიმინდის ფქვილს სესხულობდა, ზოგ ყველს, ზოგი სტუმრის პატივსაცემად ღვინოსა და არაყს დაეძებდა... აბა ახლა შებრძანდით ჩვენებური კაცის ოჯახში, ერთი კი არა, თუ გნებავთ, ოცდაათი კაცი მიაყენეთ კარზე. ნახავთ, რაფერ სუფრასაც გაგიშლით მეზობლებში გადაუსვლელად. გეყურება, ბიძიკო?

შევუქეთ საუბარს.

ზამთრის სუსხიანი საღამოა. საამოდ ღუღუნებს ღუმელი, ჩვენი მასპინძელი კი ყვება და ყვება გარდასულ დღეთა ამბებს. ყვება წარსულის სიდუხჭირეს, იხსენებს ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულ გმირებს, ჩვენ თვალწინ ნათლად აღადგენს იმ დილას, როცა ზარათელები პურმარილით ხელში შეეგებნენ მამისონის უღელტეხილიდან გადმოსულ წითელარმიელებს.

— მერე ახალი ცხოვრება მოვიდა, ეშხი და ლაზათი დაედო სიცოცხლეს, ხალისი და იმედი მიეცა ხვალინდელ დღეს. ავჩეხეთ გვიმრით დაფარული უნაყოფო მთის ფერდობები, მხარში ამოვუდექით ერთმანეთს, ჩაის პლანტაციები გავაშენეთ, საკოლმეურნეო დოვლათით ავავსეთ სოფელი...

ახალ ცხოვრებას მუდამ ფეხაწყობით მიჰყვებოდა ვარლამ მაღლაფერიძე. ყოველთვის სოფლისა და თავისი ხალხის სამსახურში იდგა. შრომობდა თავდადებით, მონდომებით, გატაცებით.

ხუთწლედის მეორე წელს მას 0,25 ჰექტარი სიმინდის ყანა ჰქონდა გაპიროვნებული. კარგი მოსავალი მოიწია. საკარმიდამო ნაკვეთში გაშენებული ჩაის პლანტაციიდან უხვი და მაღალხარისხოვანი ნედლეული ჩააბარა სახელმწიფოს.

წელს ახალი გეგმები და მიზნები აქვს მოხუცს. ხუთწლედის მესამე წელი უფრო კარგი მაჩვენებლებით უნდა რომ დაამთავროს.

— სხვანაირად რაფერ შეიძლება? — ფეხზე წამომდგარი მასპინძელი დოქიდან ჭიქაში ასხამს ღვინოს, — მოდით, ჩვენი ხალხისა და ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო შევსვათ!

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმს აქტიურად გამოეხმაურნენ ზარათელები. დღის წესრიგში კოლმეურნეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დადგა მეცხოველეობის განვითარება.

მეცხოველეობის განვითარება, ცხადია, სხვა პრობლემატური საკითხების გადაჭრასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, კადრების სწორ შერჩევასა და გადანაწილებას მოითხოვდა.

— რას იტყვით, ვინ გადავიყვანოთ ფერმაში? — შეეკითხა ერთხელ თავმჯდომარე გამგეობის წევრებს.

— ჯანიკო კვირიკაძე, — თქვა ერთმა.

— არც ვენერა ხვანიძე იქნება ურიგო, — დაახვენა მეორემ.

— თინა? თინა მაღლაფერიძე საუკეთესოდ გაართმევს საქმეს თავს! — თქვა თავმჯდომარემ, — „საპატიო ნიშნის" ორდენს ტყუილად როდი ატარებს?

— ეგ ორდენი ჩაის კრეფაში მიიღო და არა მეცხოველეობაში.

— მერე რა?

— მოწადინებული ადამიანი არც მეცხოველეობის ჩამორჩენილ დარგში შეირცხვენს თავს! — ეკამათებოდნენ ერთმანეთს გამგეობის წევრები.

თინა მაღლაფერიძემ უხმოდ მიიღო შეთავაზებული წინადადება. საქმე მოითხოვდა და მიიღო.

— უახლოეს ხანში საქართველო მეცხოველეობის მაღალგანვითარებული რესპუბლიკა უნდა გახდეს. ამ დიდ საქმეში საამაყოა, რომ ჩემი პატარა წვლილიც შევიტანო, — ამბობდა თინა და გატაცებით ეძალებოდა საქმეს.

ხშირად ესაუბრებოდა იგი თავმჯდომარეს კოლმეურნეობაში მეცხოველეობის სწრაფი განვითარების საჭირბოროტო საკითხებზე, იმაზე, თუ რა რეზერვების გამოყენება და რა მეთოდების დანერგვა შეიძლება პირუტყვის საჭირო საკვებით უზრუნველყოფისათვის, შრომის დისციპლინისა თუ მატერიალური სტიმულირების გადიდებისათვის.

მოწადინებული ადამიანი არც მეცხოველეობის ჩამორჩენილ დარგში შეირცხვენს თავს! — ეს სიტყვები ახდა. ორი წლის მანძილზე თინამ მასზე გაპიროვნებული 16 ფურიდან მნიშვნელოვნად აამაღლა წველადობა, გაიზარდა ნამატის შენარჩუნება, ამაღლდა რძის ცხიმიანობა.

ასეთი გამრჯე ადამიანები კოლმეურნეობაში ახლა ბევრი ჰყავთ. სწორედ ამიტომაც არის, რომ წინ საიმედო პერსპექტივები იშლება. მეცხოველეობა, ეჭვს გარეშეა, მალე ზარათელთა ერთ-ერთ წამყვან სასოფლო-სამეურნეო დარგად გადაიქცევა.

ჩვენი დღევანდელი დღე, ხუთწლედის მიჯნები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები ერთი პატარა ქართული სოფლის — ზარათის მშრომელებსაც ახალი სახმირო საქმეებისაკენ უხმობს!

გიგლა აგდალაძე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 1 (493) იანვარი, 1978 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1978.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის" მოწინავე მდნობელი კონსტანტინე დუდაშვილი.

ალექსანდრე სააკოვისა და ვალერი სოკოლოვის ფოტო.







მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი





გასული წელი განსაკუთრებული წელი იყო; ჩვენ ვიზეიმეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავი და მივიღეთ ახალი კონსტიტუცია. ყოველი ჩვენგანი ცდილობდა საიუბილეო წლისათვის თავისი შრომითი ნობათი მიეძღვნა. თავი ისახელეს ქართველმა მეჩაიეებმა, რომლებმაც საბჭოთა კავშირის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მილოცვა დაიმსახურეს.

საიუბილეო წელს ჩვენმა ინსტიტუტმა საექსპლოატაციოდ გადასცა უნიკალური დანადგარი ბაქსანის ნეიტრონული ობსერვატორია.

წელს ჩვენი მეკვლეა ახალი კონსტიტუცია. მრავალ ახალ წელს დაესწარით ბედნიერები, ჯანმრთელები და ენერგიით აღსავსენი, ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო!

**ალბერტ თავხელიძე,**
ბირთვულ გამოკვლევათა საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ჟურნალ „დროშის“ რედაქციამ საუკეთესო შესაძლებლობა მომცა ახალი წელი მივულოცო საქართველოს მშრომელებს, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება, მაღალი წარმატებები შრომასა და შემოქმედებაში.

ტრადიციად იქცა, ჩვენი ხალხი ყოველ ახალ წელს ახალი მიღწევებით ეგებება: სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში



ახალი წლის წინ ჩვეულებრივ ვადღეგრძელებთ ხოლმე მეგობრებს. და რაოდენ სამუწუხაროა, რომ მათი რიცხვი წლებთან ერთად არ მატულობს. არადა, ჩვენ, „კინოს ხალხს“ მუდმივი კონტაქტი გვაქვს სხვადასხვა ადამიანებთან, ყოველ ცისმარე დღეს გვიჩნდებიან ახალი ნაცნობები; მაგრამ ჭეშმარიტ მეგობრებს უმეტესად ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ვიძენთ.

როცა მეგობრებს ვადღეგრძელებ, ყოველთვის თბილისი მიდგას თვალწინ, ომის მძიმე წლების თბილისი, როდესაც ვსწავლობდი ბარნოვის ქუჩაზე მდებარე 42-ე საშუალო სკოლაში...

ჩვენ, ომის მძიმე წლების ბიჭებმა, ცოტა რამ როდი განვიცადეთ და გადავიტანეთ — შიმშილი, ადამიანთა წუხილი... მაგრამ, ნაადრევად დავაჟკაცებულებმა შევიცანით ჭეშმარიტი მამაკაცური მეგობრობის ფასი. და როდესაც ის დრო მაგონდება, ვფიქრობ, რომ ეს იყო ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების ხანა.

მოვა დრო და მე უსათუოდ გადავიღებ ფილმს ომის წლების თბილისზე, იმ დროის მოზარდებზე... მანამდე კი მინდა ვუსურვო ჩემს მეგობრებს, ყოფილ თანაკლასელებს, თანაკურსელებს, რომლებთანაც ერთად ვსწავლობდი ინსტიტუტში, ფილმების — „მიმინოსა“ და „არ დაიდარდოს“ მონაწილეებს ბედნიერება, ჯანმრთელობა და დიდი წარმატება.

**გიორგი დანელია,**
კინორეჟისორი.

## გვილოცავენ მოსკოველი თანამემამულენი

# რაჭის მთებში



მარცხნიდან: ცვლის უფროსი ანზორ არჩვაძე, უბნის უფროსი კარლო ლომჯარიძე; მეტრეველები შოთა რუხაძე და ემზარ გოგიაძე.

ალექსანდრე ხუციშვილი ისე წავიდა ქუთაისში, არავისთვის დაუბარებია. „ცვლის დაწყებამდე როგორ ვერ დავბრუნდებიო“, — ფიქრობდა იგი (ცვლა საღამოს იწყებოდა).

ორშაბათ საღამოდან კი დარიშხანის პრეპარატების საამქროში ხატაბლეტე აპარატურას მთელი რვა საათი დგომა ეწერა. შემცვლელს კი ნახავდნენ, მაგრამ იმ შემცვლელსაც თავისი საქმე უნდა მიეტოვებინა და მაინცდამაინც ვერც აქ გამოიჩენდა თავს. ასე რომ, ასი კილოგრამი დარიშხანამჟავა კალის ტაბლეტების დამზადების იმდღევანდელ გეგმას ვეება ჩრდილი დაადგა. ეს კი, მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ისეთი ქარხნისათვის, რომელიც პროდუქციას მთელი კავშირის მასშტაბით გზავნის.

... ლუხუნის მთაზე, ალბათ მალე შეწყდება ლალუმების სკდომა, დადუმდებიან მანქანები და ურავისაკენ წამოვა დარიშხანის მადნის ბოლო რეისი...

რაჟდენ ჯელაძემ მანქანა გამორთო და დეტალების წმენდას შეუდგა. სანამ საქმეს მორჩებოდა, ალბათ შემცვლელიც გამოჩნდებოდა. ყოველთვის ადრე მოდიოდა. დღეს რა ღმერთი გაუწყრა. ლიხეთიდან, სადაც ალექსანდრე ხუციშვილი ცხოვრობს, უკვე მოვიდა ავტობუსი...

არა, დაკარგვით სად დაიკარგება ამოდენა კაცი, მაგრამ რომ არ მოვიდეს, ამაღამ ვინ იმუშავებს? რაჟდენი ვერ შეძლებს, დღის ცვლაში ნამუშევარი კაცი ღამის სატეხად არ გამოდგება...

რაჟდენი მანქანას შლის, რესპირატორი კი (ასე ეძახიან აირწინაღს, რომელიც მეაპარატურეს იცავს მავნე გაზებისაგან) უკეთია. სამუშაოს დამთავრების შემდეგ იგი უნდა მოიხსნა, ასეთია წესი.

— ალექსანდრე არ ჩანს, — ხმადაბლა გადაულაპარაკა ბონდო მეტრეველს, რომელიც გვერდით აპარატთან ტრიალებდა, — რამე ხომ არ შეემთხვა?!

ბონდომ საათზე დაიხედა.

— ცვლის დაწყებამდე ჯერ კიდევ ხუთი წუთია.

ხუთი წუთი კია, მაგრამ ამ დროს შემცვლელი ყოველთვის ადგილზეა, თანაც ლიხეთიდან ავტობუსი რახანია მოვიდა.

ცხრაასგრამიანი ქილები, რომლებშიც დღეს რაჟდენის მოჭრილი ტაბლეტები აწყვია, ხის თაროებზე ერთმანეთზე შეუდგამთ. ნეტავ რამდენი ქილაა?! თუმცა, რამდენიც უნდა იყოს, თუ აპარატი მოცდა, თვის დავალება მაინც არ განაღდება.

— მომეხმარე, ეს თითები დამაყენებინე, — ეუბნება რაჟდენი ბონდო მეტრეველს, — მუშაობა უნდა განვაგრძო!

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი იფიქ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



„დროშა“ უძველესი და უსაყვარლესი ჟურნალია ქართველი მკითხველისათვის, რომლის ფურცლებზე ქვეყნდებოდა პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ილო მოსაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გოგლა ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ქრთველი ხალხისათვის სხვა საყვარელი მწერლების ნაწარმოებები.

მახსოვს, „დროშის“ რედაქციაში მუდამ თავს იყრიდნენ მწერლები, იყო მსჯელობა ლიტერატურაზე და მხიარული პაექრობა... ამ მსჯელობაში მონაწილეობდნენ როგორც ჭაღარა, ხანში შესული მწერლები, ისე ახალგაზრდებიც.

სასიხარულოა, რომ ჟურნალი „დროშა“ დღესაც განაგრძობს ძველ, მაგრამ მუდამ ცოცხალ ტრადიციებს მწერლებთან მეგობრობისა.

სულითა და გულით ვულოცავ ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს ახალ, 1978 წელს და ვუსურვებ მათ შემოქმედებით გამარჯვებებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**გიორგი მდივანი,**
მწერალი.



გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო! სიხარული და ბედნიერება თქვენ, ჩემო თანამემამულეებო! თანამემამულეებს გიწოდებთ, თუმცა საქართველოში არ დავბადებულვარ და მთელი ჩემი ცხოვრება მის ფარგლებს გარეთ გავატარე; მაგრამ ამ მიწაზე ცხოვრობდნენ ჩემი წინაპრები, მანდ დაიბადა და გაიზარდა მამაჩემიც, სიცოცხლის ბოლომდე ესოდენ მოწიწებითა და სიყვარულით რომ იხსენებდა მშობლიურ საქართველოს.

ჩვენ ვხედავთ ყოველწლიურად როგორ ლამაზდება და მშვენიერდება ჩვენი მხარე, როგორ იზრდება ადამიანთა კეთილდღეობა, გვახარებს მედიცინის მეცნიერების პროგრესი; ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენს კოლეგებს — ქართველ მედიკოსებს, რომლებმაც დაძლიეს და სძლევენ ნეგატიურ მოვლენებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ყველაფერს, რაც კი საქართველოში ხდება და სიხარულით მივესალმებით ყოველ სასარგებლო წამოწყებას.

დაე, საქართველოს ახალ, 1978 წელსაც ევლოს პროგრესის გზით, დაე, შემდგომ აყვავდეს და გაიფურჩქნოს ჩვენი შესანიშნავი მხარე.

**ანტონინა შუბლაძე,**
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

რა რაჟდენმა; ზედმეტ რვა საათს როგორმე გაუძლებს, მაგრამ საღამოს ოხში უნდა წასულიყო ოჯახთან ერთად, შინ ალბათ ელოდებიან.

საწნეხი თითების დაყენება არც ისე იოლი საქმეა, ასეთი დეტალი აპარატს 92 აქვს, ცვლის დამთავრების შემდეგ ყველა უნდა მოხსნა, გაწმინდო და ხელახლა დააყენო. უნდა მოხსნა და დააყენო ორივე ხვიმირა. ისე აპარატი მომდევნო ცვლაში ვერ იმუშავებს.

ორმოციოდე წუთში საწნეხი თითები დააყენეს, ხვიმირები დაუდგეს და რაჟდენმა აპარატი ჩართო. სატაბლეტე მასა განუწყვეტლივ მოედინება ხვიმირაში, მეორე საწნეხ თითებს გაივლის და რამდენიმე წამში ტაბლეტი მზად არის.

საამქროს უფროსი დიომიდე გოგრიჭიანი ზუსტად ცვლის დაწყების წინ ჩამოუვლის აპარატებს — ყველა მანქანასთან მივა, ყველა მეაპარატეს გამოელაპარაკება.

დღეს ვიღაც უცხო კაცი ახლდა. ჭელაძის მანქანასთან რომ მივიდნენ, შეჩერდნენ, დიომიდემ მანქანების ხმაურში საკმაოდ ხმამაღლა უთხრა სტუმარს:

— ჩვენ მარტო ქიმიკოსები კი არა, მეცხვარეებიც ვართ. ეს ტაბლეტები, — თითო რაჟდენის ხვიმრისაკენ გაიშვირა, — ცხვრისათვის უკვდავების წყაროა. ალბათ, იცით, რა ზიანს აყენებს ცხვარს ჭიები. ჰოდა, მიირთმევს ამ ტაბლეტს და... აქ ალექსანდრე ხუციშვილი მუშაობს. სხვათა შორის წლეულს ამთავრებს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. შესანიშნავი მუშაა, სანიმუშო კომუნისტი!

ამ დროს აპარატთან თვით ალექსანდრე ხუციშვილი გაჩნდა.

რაჟდენ ჭელაძემ სიხარულისაგან, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მანქანას გამეტებით დაარტყა ხელი.



მეორე უბნის ტექნოლოგი ნაზი გამყრელიძე (მარჯვნივ) და ტექკონტროლის უფროსის მოადგილე შალვა ქადაგიძე.

ალექსანდრემ ტანთ გადაიცვა, რესპირატორი გაიკეთა და მანქანასთან დადგა.

როგორც შემდეგ გაირკვა, სტუდენტი მეაპარატე კონსპექტისათვის წასულა ქუთაისში, რამდენიმე კვირაში სახელმწიფო გამოცდა ეწყება. აქეთობისას გზაში ავტობუსს საბურავი გახეთქია...

იმ დღეს ალექსანდრე ხუციშვილის მანქანამ ას ხუთი კილოგრამი ძვირფასი ტაბლეტი შემატა საწარმოს.

* * *

რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანას როცა სტუმარი ეწვევა, არც შეეკითხებიან, რა საქმეზეა მისული, აუცილებლად ლევან გელოვანთან უნდა მიიყვანონ.

— ლუხუნის დარიშხანი (ლუხუნი ამბროლაურიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარე მთის ხახელია) თავისი თვისებებით ერთადერთია მთელ საბჭოთა კავშირში, — თითქოს თავისთვის ამბობს ლევანი და თან გამომცდელად გიყურებთ, აბა თუ მისმენსო. მერე, რაკი დარწმუნდება, რომ სტუმარს მართლა აინტერესებს რაჭის ამ უნიკალური საბადოს წარსული, აწმყო და მომავალი, ყველაფერს თავიდან იწყებს.

აქაური მადანი დამუშავების შემდეგ წარმატებით გამოიყენება ლაზერის ტექნიკაში, ოპტიკაში, ვეტერინარიაში და ა. შ.

დარიშხანის გადასამუშავებელი ქარხანა თურმე 1931 წელს დაარსებულა ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში.

ლევან გელოვანი აქ 35 წელიწადზე მეტია მუშაობს. იგი ჯერ ცვლის ინჟინრად იყო, შემდეგ — მთავარ ინჟინრად, 1959 წლიდან 1965 წლამდე — დირექტორად. მერე პენსიაზე გავიდა, ქარხანას მაინც ვერ შეელია, ვერც საწარმოს კოლექტივმა მოიცილა იგი. თავის უბანზე (ლაბორატორიას ხელმძღვანელობს) ჩვეული ენერგიითა და ხალისით უძღვება საქმეს. ღვაწლმოსილი ქიმიკოსი ახალი პროდუქციის ათვისებაზე მუშაობს. ამ ლაბორატორიაში მუშავდება სპეციალური დანიშნულების კრისტალები, სხვადასხვა სახის მონოკრისტალები, უმაღლესი სისუფთავის თეთრი დარიშხანი, სპეციალური საღებავები გემის წყალქვეშა ნაწილის შესაღებად და სხვ.

როდამ ჩარანიძე

# [illegible]

მოთხრობა

ამ ღამით მატროსი აკაკი გოგიტიძე ვახტიდან თორმეტ საათზე შეიცვალა. ხიდურიდან რომ ჩამოვიდა, მთელი თხუთმეტი წუთი წინა კოშკის გასასვლელთან იდგა, ელოდა მომცრო ტალღების ხერიას, რომ უკანა კოშკამდე უხიფათოდ მიეღწია.

დაბალი ტალღების სერია რომ დაიწყო, გოგიტიძემ კოშკებს შორის გადებული ხიდი წამში გადაირბინა და უკანა კოშკში შევარდა.

გოგიტიძე ტორტმანით ჩაჰყვა ქვედა დერეფნისაკენ მიმავალ საფეხურებს. კაიუტაში რომ შევიდა, ლოგინზე მიეგდო. ახლა გაახსენდა, რომ ლუზების კავზე დამაგრება დაავიწყდა. ღმერთო, ეს როგორ მოხდა, უფროსმა თანაშემწემ ცალკე გააფრთხილა, მერე ბოცმანმაც ხომ უთხრა და მაინც დაავიწყდა. ისეთი დავიდარაბა იყო, თავსა და ბოლოს ვერ გაარჩევდი, სწორედ ამიტომ დაავიწყდა.

საქმეს ახლა არაფერი ეშველებოდა, ამ ქარიშხლიან ღამეში ფორშტევენთან მისვლა დაღუპვას ნიშნავდა.

გოგიტიძემ გადაწყვიტა გათენებას დალოდებოდა, თუ დილამდე ლუზის ჯაჭვები არ დაწყდა, სისხამზე როგორმე წინა ერდოზე გავიდოდა და ლუზებს კავზე დაამაგრებდა.

გოგიტიძემ საბნის ბოლოები ლეიბის ქვეშ ამოიგო. მერე ფრთხილად შეძვრა არტახივით გადაჭიმულ საბანში. ახლა მისთვის სულ ერთი იყო, რაც უნდა დიდი ღელვა ყოფილიყო, საწოლიდან არ გადმოვარდებოდა როგორც ჩვილი აკვანში, ისე იწვა მის მიერ მოგონილ არტახებში გაკრული.

დაღლილ-დაქანცულმა მესაჭემ ჩათვლიმა და სანამ არ იოყრაუა, ფეხი არ გაუნძრევია. ალიონზე თვალი გაახილა თუ არა, არტახებს ქვემოთ გაძვრა, სახეზე ცივი წყალი შეისხა და კაიუტიდან გამოვიდა. მარცხენა გასასვლელისაკენ გაუხვია. ჯერ ერთი ლიუკი გახსნა, მერე — მეორე, ფეხის თითებზე შედგა და გარეთ გაიხედა.

ქარიშხალი ოდნავ შესუსტებულიყო, მაგრამ გემს მარცხენა ფერდი სწორედ ჩრდილო აღმოსავლეთის მხარეს ჰქონდა მიქცეული და ტალღები გარე აივანზე გრუხუნით ეცემოდნენ.

გამოცდილი მატროსი მიხვდა, რომ აქედან წინა კოშკისაკენ გასვლა შეუძლებელი იყო. ისევ მარჯვენა ფერდის ლიუკიდან უნდა ეცადა გასვლა. რამდენიმე წუთში მეორე ლიუკთან იყო. ფრთხილად გახსნა ლიუკი და თავი გარეთ გაჰყო.

ერთი ციცქნა მეხაჭე კედელჰრილში გაძვრა და ლიუკი მაშინვე მოხურა, მერე ჩამკეტიც დიდი წვალებით გადააბრუნა. თვითონ ღია აივანზე აღმოჩნდა. ხიდამდე მიირბინა და შედგა. ცივი, გამჭოლი ქარი წივილით იჭრებოდა კოშკებს შორის დარჩენილ ცარიელ სივრცეში. ვერც იფიქრებდით, ყოველივე ეს ტროპიკებში რომ ხდებოდა.

გოგიტიძე დაელოდა მომცრო ტალღების სერიას და როცა იგრძნო, ბედის ბორბალი მის სასარგებლოდ დატრიალდა, მაშინვე ხიდისაკენ მოკურცხლა. ქურციკივით შეხტა ზედ და ისე გადავიდა მეორე მხარეს, არ დასველებულა. წინა კოშკს გვერდი მარცხენა მხრიდან აუარა, რკინის ცივ კედელს მოფარებულმა კიჩო და ფორშტევენი დაზვერა.

იქაც ზვირთცვენა იყო.

გოგიტიძე კოშკის კედელს ამოფარებული დაძაბული იდგა და ელოდა, მერე ერთბაშად ისარივით მოწყდა და რკინის ვიწრო ხიდით ფორშტევენისაკენ გაფრინდა... შუა ხიდს რომ მიაღწია, პირველი ტალღა მაშინ დაეცა თავზე და რამდენიმე წამით ქაფში ჩაიმალა, არ დაბნეულა, თვალისდახამხამებაში სოკოსავით ამოძვრა იქიდან, კვლავ ხიდზე გაირბინა.

წინა ერდოზე ინდიელის ვიგვამივით იდგა უშველებელი დამჭაჩი. გოგიტიძემ იცოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა მას ამოფარებოდა და ამ უშველებელ ვიგვამს მარცხნიდან შემოურბინა, ფორშტევენის მხარეს გავიდა და ლუზათა ბუდეს მიადგა. მკლავის სიმსხო ჯაჭვები ბუდეში ზანტად ღრჭიალებდნენ; არც ერთი მათგანი კავზე არ იყო დამაგრებული.

ორივე ხელით ჯერ მარჯვენა ლუზის კავს მიწვდა, ზედ დაეკიდა და ძირს დაეშვა, მეორე კავი ძლივს ამოდო ლუზის ჯაჭვის მესამე კბილს და ერთი წუთით სული მოითქვა. სწორედ მაშინ იყო, რომ თვალი მოჰკრა წყლის უზარმაზარ მასას. გოგიტიძემ იმარჯვა და გვერდზე გადახტა, დამჭაჩს ამოეფარა.

მარცხენა კავი უფრო გაჭირვეულდა. არადა არ ნებდებოდა ჩია მატროსს. გოგიტიძე მთლად გაცოფდა, ზევით აფოფხდა და ახლა ზევიდან მკერდით დააწვა კავს. ბოლოს და ბოლოს ისიც დაიმორჩილა და როგორც იქნა კავი მეორე კბილს ამოდო, ფრთხილად ჩამოვიდა ლუზის ბუდის თავიდან. უცებ იგრძნო, რაღაც შავი, უშველებელი მოჩვენება გემის მარჯვენა ფერდზე დინოზავრივით რომ გადმოლოლდა და მისკენ დაიძრა.

გონება არ დაუკარგავს. მარცხენა მხარეს ისეთი ღრჭიალი იგრძნო, თითქოსდა ნედლი წაბლის ტოტი გადატეხესო.

უფროსმა თანაშემწემ დაინახა; ჯერ კიდევ მაშინ დაინახა, ხიდური რომ გადაირბინა გოგიტიძემ. მაშინვე კაპიტანს დაურეკა.

— მიხეილ გიორგევიჩ, გოგიტიძე წინა ერდოზე გასულა!

კაპიტანი ჰოგრიტით ათვალიერებდა წინა ერდოს, როცა დამჭაჩის ღერძს ჩაჭიდებული თავისი მატროსი დაინახა. უფროს თანაშემწეს დაუძახა: განგაში გამოაცხადეო. იქვე პირველი თანაშემწეც შენიშნა და ახლა მისკენ შებრუნდა:

— ლევან დავიდოვიჩ, დაურეკეთ ექიმს, სასწრაფოდ წინა ერდოზე გამოვიდეს, გოგიტიძე მძიმედ დაშავდა!

უფროსმა თანშემწემ განგაში გამოაცხადა.

— ქიაზიმოვიჩ, გოგიტიძის გამოყვანის ოპერაციას თავად უხელმძღვანელე. მე ხიდურზე ვიქნები; შევეცდები, გემი ისეთ კურსზე გავიყვანო, ტალღებმა არ შეგიშალოთ ხელი. აბა, სწრაფად, ახლა დრო წყვეტს ყველაფერს! — ბრძანა კაპიტანმა.

ტელეფონი რომ აწკრიალდა, ექიმი ჯურხა ხატისკაცი თბილ საბანში გახვეული იწვა. პირველი თანაშემწე დაბნეულად ლაპარაკობდა. ჯურხამ ძლივს გაიგო, რა მოხდა კაიუტიდან გამოვიდა, ჯალამბარი სასროლი ანკესის გრძელი ჯოხივით ამოიჩარა იღლიაში და კიბეზე დაეშვა.

ხიდზე გადაირბინა; გემი მთელი ქიმით შებრუნდა და გრუხუნა ტალღები ახლა უკანა ერდოს ასკდებოდნენ. იქ, ფორშტევენთან დაბნეული უფროსი თანაშემწე ჩაცუცქულიყო, ორივე ხელით გოგიტიძის სველი თავი ეკავა და უმწეოდ იყურებოდა აქეთ-იქით.

ხატისკაცმა ჯალამბარი სწრაფად გაშალა.

— ქიაზიმოვიჩ, მომეხმარეთ! — ხელები წელზე შემოხვია გოგიტიძეს.

ხეიდიშვილმა გოგიტიძის თავი ნელა დაუშვა დაბლა, წამოდგა და ოკეანეს გახედა.

ხატისკაცმა იფიქრა, ხეიდიშვილი მთლად კარგად ვერ არისო, ახლა მთელი ხმით დაიძახა:

— ქიაზიმოვიჩ, მომეშველეთ, საკაცეზე გადავიყვანოთ!

უფროს თანაშემწეს ხელის განძრევა აღარ დაჭირდა. ხუთმა მოსულმა მატროსმა გოგიტიძე ჯალამბარზე ფრთხილად გადაიყვანეს.

აკაკის გრძნობა არც ახლა დაუკარგავს; ხედავდა, როგორ ფუსფუსებდნენ მის ირგვლივ მეგობრები და გრძნობდა, თუ იღბლის ნასახი ჰქონდა, უნდა გადარჩენილიყო. ჯალამბარი რომ ასწიეს, ტკივილი მხოლოდ მაშინ იგრძნო, ტკიოდა მარცხენა ფეხი, მკერდის არე, მთელი სხეული.

ჯურხამ ნახვისთანავე დაადგინა, რომ ფეხი ორ ადგილზე იყო გადატეხილი, ღია ჭრილობიდან სისხლი ღვარად მოდიოდა. პირველ რიგში სისხლის დენა უნდა შეეჩერებინა.

გოგიტიძე საოპერაციოში გადაიყვანეს და იქიდან ტალღის დარტყმას რომ არ გადმოეგდო, თავზე ოთხი მატროსი დაადგა.

ექიმმა შარვალს მარცხენა ტოტი შემოაჭრა, სანამ შეხვევას დაიწყებდა, შეეცადა, ძვლები გაესწორებინა.

გოგიტიძე ტკივილებისაგან იმანჭებოდა, მაგრამ ხმა-კრინტს არ ძრავდა. ხატისკაცმა, როგორც იქნა, ჭრილობები გაკერა, ფეხი ფიცრის არტახებში მოუქცია და მაგრად შეუხვია.

ოპერაცია თითქოს კარგად ჩატარდა, მაგრამ წნევა თანდათან ეცემოდა და ჯურხა დარწმუნდა, რომ მესაჭის სატკივარი მარტო ის არ იყო, რაც გარედან ასე ნათლად ჩანდა. ალბათ, კიდევ ჰქონდა სხვა მოტეხილობა, საიდანაც სისხლი ორგანიზმში ჟონავდა და წნევა ეცემოდა. მესამედ საგულდაგულოდ რომ გასინჯა, ამაში კიდევ უფრო დარწმუნდა.

მიხეილ გეორგევიჩი შემოვიდა.

გოგიტიძემ კაპიტანი რომ დაინახა, თავი ოდნავ წამოსწია.

კაპიტანი ახლოს მივიდა.

— მიხეილ გეორგევიჩ, მაპატიეთ. ყველაფერი ჩემი ბრალია!

— ახლა საქმის გარჩევის დრო არ არის. შენ კარგი გინდოდა გაგეკეთებინა, პირიქით კი მოხდა; არა უშავს, ოკეანეა, უარესიც ხდება ხოლმე. როგორ ხარ, ბიჭო?!

— სუსტად ვარ, მიხეილ გეორგევიჩ!

— არა უშავს, ჩვენი ექიმი მალე დაგაყენებს ფეხზე!

ექიმმა კაპიტანს ხელი მკლავზე მოჰკიდა და დერეფანში გაიყვანა, მერე მიიხედ-მოიხედა და ახლოს რომ ვერავინ დაიგულა, კაპიტანს მოახსენა:

— მიხეილ გეორგევიჩ, ძალზე მძიმე მდგომარეობაა! ვფიქრობ, ნეკნები აქვს ჩამტვრეული და ორგანიზმში სისხლი ჟონავს, წნევა ვარდება, ე. ი. ავადმყოფი სისხლს კარგავს!

კაპიტანს სახე მოეღუშა.

— თქვენი წინადადება?

— საჭიროა ავადმყოფის სასწრაფო ევაკუაცია.

— როგორ?! ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ. ექიმო, პორტში ვერ შევალთ. ჰავანას პორტი ძალზე ვიწროა და ქარიშხალი კედელს მოგვახეთქებს. ნავს ვერ ჩავუშვებთ, დიდი ღელვაა. ავადმყოფის გაყვანა გამორიცხულია!

— მიხეილ გეორგევიჩ, თუ სასწრაფოდ ჰოსპიტალში არ გადავიყვანეთ, გოგიტიძე ხუთ-ექვს საათში დაიღუპება. გემის პირობებში მეტი დახმარება შეუძლებელია!

კაპიტანმა რაღაც ჩაილაპარაკა და ჩქარი ნაბიჯით ლიუკისაკენ გაემართა.

ერთი საათის შემდეგ ჯურხა ხატისკაცი ხიდურზე რომ გამოცხადა, კაპიტანი შეიშმუშნა:

— ცუდი ხომ არაფერია, ექიმო?!

— ისევ ის მდგომარეობაა, მიხეილ გეორგევიჩ. ვიტანჯები, კაცი ხელიდან მეცლება და ვერაფერს ვშველი!

— კომპანია „მამბისას“ ველაპარაკე.

ექიმმა „მამბისას“ ვერაფერი გაიგო და ეს სახეზეც გამოეხატა. კაპიტანი მაღალი, რგოლივით მრგვალი ხკამიდან ჩამოვიდა:

— „მამბისა“ კუბის საზღვაო კომპანიაა, მისი საშუალებით ჩვენ ვცდილობთ კონტაქტს ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან. ვერტმფრენის გამოგზავნას ფიქრობენ!

— ვერტმფრენის?! კარგად მოუფიქრებიათ!

— ექიმო, ეს ... სარისკო საქმეა, მაგრამ რადგან სხვა გზა არ არის, დაველოდოთ ვერტმფრენს!

ხიდურზე რაციის უფროსი შემოვიდა:

— მიხეილ გეორგევიჩ, „მამბისამ“ გამომიძახა, ვერტმფრენი ჩვენსკენ უკვე წამოვიდა!

— გმადლობთ, ანატოლი გრიგორევიჩ, — თქვა კაპიტანმა და ექიმს მიუბრუნდა:

— ექიმო, მოამზადეთ ავადმყოფი. ჯობს, უკანა ერდოზე მივიღოთ ვერტმფრენის ტრაპი. თქვენ რას იტყვით?!

კაპიტანი ახლა უფროსი თანაშემწისაკენ შებრუნდა.

— რასაკვირველია, თუ კოშკი ხელს არ შეგვიშლის!

კაპიტანმა არაფერი თქვა. გაიარა, მარჯვენა კარამდე მივიდა. შემობრუნდა და თვალებით უფროსი თანაშემწე მოძებნა:

— ფიქრობთ, კოშკი ხელს შეგვიშლის?

— ვერაფერს გეტყვით, ვცადოთ, შუა ერდოზე უნდა მივიღოთ.

— შუა ერდოზე?! — გაიმეორა კაპიტანმა და მარჯვენა კარისაკენ შებრუნდა. ცოტა გაიარა, კარს რომ მიადგა, შემობრუნდა:

— ექიმო, თქვენ კიდევ აქ დგახართ? იმოქმედეთ!

ჯურხა ხატისკაცი სწრაფად გამოერკვა და შუა კარისაკენ წავიდა. მას კვალდაკვალ კაპიტანიც მიჰყვა, მაგრამ იგი ქვედა დერეფნისაკენ ჩამავალ კიბეს არ ჩაჰყოლია, წინა კოშკის უკანა კარი გამოაღო და აივანზე გავიდა. ცივმა ქარმა სახეში ზღვის შხეფები შემოაყარა, შეცივდა, ტუჩებზე მარილის გემო იგრძნო. ამ დროს აივანზე რაციის უფროსი შემოვიდა, კაპიტანმა ჰოგრიტი მოითხოვა, მან მიდამოს გახედა. გემი პირით ქარისაკენ იდგა და უკანა აივნიდან ჰავანა კარგად ჩანდა. თბილ ნისლში სანაპიროს მაღალი, თეთრი შენობები, ზღვისპირა პარკი და სანტა-მარიას პლაჟი იკვეთებოდა.

კაპიტანი დაკვირვებით ათვალიერებდა ჰავანას მოქუფრულ ცას. რაციის უფროსმა ჰოგრიტი რომ მიაწოდა, მარჯვნივ გადაინაცვლა და ახლა სიჭვრეტელით გაიხედა.

— მიხეილ გეორგევიჩ, აი, იქით, სანტა-მარიას თავზე ბუზისოდენა წერტილი ჩანს!

კაპიტანი სანტა-მარიასაკენ შებრუნდა, ერთ ხანს ცას ათვალიერებდა, შემდეგ ჰოგრიტი დაუშვა და თქვა:

— გამოჩნდა. უფროს თანაშემწეს დაუძახეთ!

უფროსი თანაშემწე რომ გამოცხადდა, კაპიტანი კვლავ ჰოგრიტით იმზირებოდა.

— ქიაზიმოვიჩ, — თქვა მან ისე, რომ ჰოგრიტი თვალიდან არ მოუშორებია, — უკანა ერდოზე ოპერაციის ხელმძღვანელობას თქვენ გავალებთ! მე აქ დავრჩები, ქარისაგან დაგიცავთ. ... ქიაზიმოვიჩ, ოპერაციის მხედველობა მომახსენეთ. აბა, თქვენ იცით!

უფროსმა თანაშემწემ კოშკებს შორის გადებულ ხიდზე რომ გადაირბინა, კაპიტანმა ჰოგრიტი დაუშვა და ხიდურს მიაშურა.

ექიმის განკარგულებით ... მოსულმა მატროსმა ავადმყოფი ჯალამბარზე ფრთხილად გადაიყვანა. ახვევ ფრთხილად ასწიეს საკაცე და კიბეებს დაუყვნენ. მატროსებს წინ ჯურხა ხატისკაცი მიუძღვოდა. უკანა ერდოსთან ახლოს რომ ყოფილიყვნენ, გოგიტიძე სასადილოში შეიყვანეს და ჯალამბარი ერდოსაკენ გამავალ კართან დადგეს. ვერტმფრენის ხმამ სასადილოში რომ შემოაღწია, მეზღვაურებმა ჯალამბარს ხელი კვლავ ჩაავლეს, მაგრამ ჯურხამ ხელი აწია:

— ჯერ არა, ძმებო, ჯერ ტრაპი დაუშვან და მერე გავიყვანოთ. ასე ჯობს, ნაკლებად დასველდება!

უფროსი თანაშემწე უკანა ერდოზე იდგა — თვალყურს ადევნებდა ვერტმფრენის მანევრს.

ვერტმფრენი ნელა, ფრთხილად მიიწევდა გემისკენ. ხრახნი განიერ წრეს ავლებდა. წრე თანდათან უახლოვდებოდა უკანა კოშკს: უფროსი თანაშემწე ვარაუდობდა, უკანა კოშკი საშუალებას მისცემდა თუ არა მფრინავს ტრაპი ერდოზე დაეშვა. იგი მალე დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო და თავისი აზრი მაშინვე კაპიტანს აცნობა. კაპიტანმა უბრძანა: მფრინავებისათვის ენიშნებინათ და ოპერაცია შუა ერდოზე გადაეტანათ.

უფროს თანაშემწეს მთელი თავისი კინეტიკური ენის გამოყენება დაჭირდა, მფრინავებს ეს რომ გაეგოთ. როცა დარწმუნდა, მიზანს მიაღწიეო, სასადილოში შევარდა, ჯურხას დაუყვირა:

— აქ არაფერი გამოდის, ავადმყოფი შუა ერდოზე გაიყვანეთ!

უფროსმა თანაშემწემ აღარ დაუცადა მატროსებს, დერეფნის კარს ეცა და მოკურცხლა. შუა ერდოს რომ მიაღწია, ვერტმფრენი ახლა აქ დაგუგუნებდა თავზე.

ვერტმფრენი ზანტად ჩამოშორდა კოშკებს და იმ მცირე ადგილზე, რომელსაც შუა ერდო ქმნის, ალბატროსივით დაეკიდა. ამ დროს ტრაპიც ისროლეს. ტრაპის ბოლო ჯერ გემბანს არ შეხებოდა, ვერტმფრენიდან ახალგაზრდა გამოვიდა და თოკის ხიდზე სწრაფად დაეშვა. მაგარი კანაფისაგან დაწნულ საფეხურ-

ლაბორატორიას მჭიდრო კავშირი აქვს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან.

* * *

თეთრი დარიშხანის საამქროს რეხვიაშვილების საამქროსაც ეძახიან. გზა, რომელსაც დარიშხანის მადანი გადის მოპოვებიდან საბოლოო სახის მიღებამდე, ძირითადად რეხვიაშვილების ხელშია.

საამქროს შესასვლელში ჩვეულებრივი, შავი ფხვიერი მიწა ყრია.

— აი ეს არის დარიშხანი, — ამბობს ცვლის უფროსი გურგენ ჭელაძე და ხელს ურევს შავ მასაში.

მერე ამ შავ მასას იატაკზე ყრის და თვალებში შემოგანათებს სხვადასხვა ზომის ყვითელი, წითელი და რაღაც ბრჭყვიალა ნაწილაკები. ფხვიერი მიწა იქვე იცრება და ხარისხდება.

ახლა მთავარი ინჟინერი იური ჭელიძე იღებს მადანს და გვესაუბრება:

— რამდენადაც ვიცი, დარიშხანზე მსოფლიოს არც ერთ პოეტს ლექსი არ დაუწერია.

... გავარვარებულ ღუმელში „შავი მიწა“ იწვის. მაღალ ტემპერატურაზე რომ სხეულები იწვიან ან დნებიან, ამის ცოდნას არც ქიმიკოსი სჭირდება და არც მეტალურგი, მაგრამ გამოუცდელი თვალისათვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ იქცევა ჩვეულებრივი ფხვიერი მიწა დარიშხანად, დარიშხანი — ორთქლად, ორთქლი — ფხვნილად.

— აორთქლებული მადანი სპეციალური მილსადენით ხვიმირებში გადადის, — გვიხსნის ცვლის უფროსი, — და ოცი მეტრის გავლის შემდეგ ფხვნილის სახით ილექება. გაზი განაგრძობს გზას და მომდევნო ხვიმირებში კვლავ „ჯდება“ (დალექვას აქ დაჯდომას ეძახიან) სუფთა მადანი. საბოლოოდ მიღებული ფხვნილი იწვის ე. წ. რაფინირების ღუმელში და მიიღება უმაღლესი ხარისხის (99,9 პროცენტი) დარიშხანი.

— ამ ღუმელთან ვინ მუშაობს?

— ალექსანდრე რეხვიაშვილი!

— მეორე ვინ არის?

— გიორგი რეხვიაშვილი.

— აი იქ, კუთხეში რომ დგას?

— ელგუჯა რეხვიაშვილი, შოთა რეხვიაშვილი...

— სხვა გვარის კაცი არ გირევიათ? — უკვირს სტუმარს.

კი, ურევიათ სხვა გვარის კაცი, ნესტორ ჩალაძე, მაგრამ რად გინდა, ამდენ რეხვიაშვილებში „იკარგება“. ის კი არა, ალექსანდრე რეხვიაშვილს უთქვამს, ცოლიც თეთრი დარიშხნის საამქროში უნდა გადმოვიყვანო, თორემ რეხვიაშვილებს „გვავიწროვებენო“. ალექსანდრეს ცოლი — ვენერა, ამჟამად დარიშხანის პრეპარატების საამქროში მუშაობს.

საღამოს, როცა ცვლა დამთავრდა და რეხვიაშვილები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებთან შესახვედრად ქარხნის კლუბში შეიკრიბნენ, ადგილობრივმა მკვიდრმა, რაჭაში კარგად ცნობილმა მუშა-პოეტმა გიორგი ჭელაძემ წაიკითხა ლექსი დარიშხანზე:

ბრწყინავს საქმე ქიმიკოსთა,  
ალისკროვნებს რაჭას, ურავს.  
ვაშა მთის გულს, მალაროელს,  
დარიშხანის ქანს რომ ბურღავს...

ივერი ტაბიძე



მონოკრისტალის მიმღები მეაპარატეები ციალა გობეჯიშვილი და გოგუცა ბეშიძე.



# ევგენი ხარაძე 70

ევგენი ხარაძის სახელი საქვეყნოდაა ცნობილი. ნახევარი საუკუნეა, რაც გამოჩენილი მეცნიერი სახელოვნად ეწევა სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობას. იგი ხომ ჩვენი დროის ერთ-ერთი პირველი ქართველი ასტრონომი და ვარსკვლავთმრიცხველია, რომელმაც დიდი ამაგი დასდო სამამულო მეცნიერებას და დიდი წვლილი გაიღო ამ მეცნიერების განვითარებისათვის.

შარშანდელი წელიწადის მიწურული ევგენი ხარაძისათვის საიუბილეო გამოდგა. ღვაწლმოსილი ადამიანის იუბილე მადლიერმა სამშობლომ ღირსეულად აღნიშნა და ჩვენმა საზოგადოებრიობამ გულწრფელად გამოაცხადა თავისი პატივისცემა დიდად ნიჭიერი მამულიშვილისადმი.

ევგენი ხარაძის ბევრ სახელგანთქმულ პატივისმცემელს ვიცნობ და როგორც თანამემამულეს, გულწრფელად მახარებს ჩვენი დაუღალავი მეცნიერისადმი მათი ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა. მართალი გითხრათ, ასტრონომიულ მეცნიერებაში განსწავლული არ გახლავართ, მაგრამ კარგად ვიცი ფასი ევგენი ხარაძის მიერ გაწეული დიდი შრომისა და აღმოჩენებისა... კარგად ვიცი, თუ რა ამაგი მიუძღვის მეცნიერს ქართველ ვარსკვლავთმრიცხველთა აღზრდასა და დავაჟკაცებაში. მშობლიურ უნივერსიტეტსა, აბასთუმანსა თუ მეცნიერებათა აკადემიაში, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, ყველგან მოწიწებით და პატივისცემით იხსენიებენ ევგენი ხარაძის სახელს, მის მეტად მნიშვნელოვან შრომებსა და გამოკვლევებს.

დაუმსახურებლად ხალხს თავს ვერ შეაყვარებ. ევგენი ხარაძე ხშირად მინახავს შეკრებებზე, ხშირად მსმენია მის მიერ წარმოთქმული სიტყვა და სიამაყის გრძნობით აღვსილვარ, მისი მშვენიერი ქართულით მოვხიბლულვარ, საქვეყნო საქმეებზე მეცნიერის ღრმა და საფუძვლიან მოსაზრებასაც დავუფიქრებივარ. ხოლო პირადი შეხვედრებისას არცთუ მოულოდნელი იყო ჩემთვის ევგენი ხარაძის დიდი ცოდნა და გატაცება კულტურის საკითხებით, კერძოდ, ქართული მწერლობით, განსაკუთრებით პოეზიით. მას ხომ ბევრი მეგობარი ჰყავს მწერალთა შორის.

ევგენი ხარაძეს, ჩვენს სახელოვან მეცნიერსა და მამულიშვილს, შვიდი ათეული წელიწადი უკან ჩამოიტოვა. მას კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, რათა კვლავაც ბევრი რამ შეხძინოს ჩვენს სამამულო მეცნიერებას, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

გამარჯვებით ევლოს ძვირფას მეცნიერს ამ გზაზე.

**რევაზ მარგიანი**

გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ევგენი ხარაძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ჟურნალი „დროშა" ღვაწლმოსილ მამულიშვილს სულითა და გულით ულოცავს სახელოვან იუბილეს, მთავრობის უმაღლეს ჯილდოს ლენინის ორდენს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას.

## სტუმრად ვარსკვლავთმრიცხველთან

ევგენი ხარაძეს

გზა ვიპოვე ცაში ასასვლელი,
ვნახავ, ალბათ, ვნახავ რასაც ველი,
გზა, ვინ იცის, ვინ გააბა მთა-მთა —
წმინდა როგორც თრთოლვა გულის
ძაფთა!

გზა კი არა — ტყეც ტოტების რწევით
მიისწრაფის ზევით, მხოლოდ ზევით.
კბოდეებიც წამომდგარან ზეზე,
ხალიჩები გადმოჰფინეს მზეზე...
ვნახავ, ალბათ, ვნახავ რასაც ველი!

ზეკარის და აბასთუმნის შემდეგ,
ცას რა ჰქვია, ნეტავ, სადაც შევდექ?!
ბროლის კოშკი აქ, სადაც არის,
ვით ზღაპარში — მზისაა და მთვარის...
შემოვიდა მშვიდზე-მშვიდი კაცი,
ირგვლივ ვარსკვლავთმრიცხველები
დასხა,
გვიცდის სიტყვა და სიჩუმე მკაცრი,
გვიცდის ჰოგრიტშემართული დაზგა.

ცას რა ჰქვია, ნეტავ, სადაც შევდექ?!
ასტრონომი ზოდიაქოს უზის,
ზუალის და ასპიროზის ბედი
უკვირს უფრო, ვინემ ჩვენი მუზის,
მაგრამ ნატვრა არის მეტისმეტი:
(მართლაც, ერთხელ, აბა ვის არ სწყუროდა,
დაენახა ცაში ლტოლვილ სულთა
მარად წვისა და სინათლის ყვავილი).
და დავუთმე მეც ასტრონომს თვალი.
ასტრონომი ზოდიაქოს უზის...

რაც მაღლდება აგრე ჩემდა ბედად,
იცის მისმა მღელვარებამ მშვიდმა.
(ჩვენ, ორთავეს, თვალი ერთხელ ერთად
აგვიხილა ათას ცხრაას შვიდმა!)
და ვიკითხო ამიტომაც ვბედავ:
— საით მივყვე შუქს, რომელსაც ვხედავ?
გაჩენაა თუ მოწყვეტა ციდან,
მითხრას, იქნებ მზის იმ ნაპერწკლიდან
ვითვლი წუთებს აგრე, ჩემდა ბედად!

მას თავს ადგას ვარსკვლავების გუნდი,
მას თავს ადგას უცხო მზეთა მზერა,
გამიფანტოს იქნებ ცის ბინდბუნდი,
მეც თუ წარმართო წელთაღრიცხვის მჯერა!
სათვალეთა ქვეშ მოქცეულ ღიმილს,
ისე, აბა, როგორ გავუგო მე,
ათასი წლის წინათ ჩამქრალ სხივის
მოსვლა ახლა აღგვინიშნა მხოლოდ.
მაშ, სადღაა ვარსკვლავების გუნდი?!
გახსოვთ, ჩვენი ლტოლვა ოდით ცაში
და სიმღერა აღტაცებულ მგზავრის;
ლოცულების და ლექსებისა მაღლა,
მისწვდა მთვარეს ავთანდილის რაში...
განა ჩვენდა ბედად, განა ახლა —
არა, გული ცად მას ერთხელ გზავნის...
ო, იმ ცისკრის და იმ ბედის ცდაში
რომელ იმედს და ოცნებას ვენდოთ?!
— ვენდოთ, თუნდაც ჩასაქრობად,
ვენდოთ!

**კარლო კალაძე**

ებზე ძალზე ოსტატურად ეშვებოდა, მაგრამ გემბანზე დაშვებისას ტალღამ გემი გააქანა, მფრინავს სიპ რკინაზე ფეხი მოუცურდა და მოწყვეტით დაეცა.

უფროსმა თანაშემწემ რომ მიირბინა, მფრინავი უკვე ფეხზე იდგა, შუბლის ჭრილობიდან სისხლი წვეთავდა.

— მე პაბლო ნავარა ვარ, დროს ნუ დავკარგავთ, ყოველი წუთი საზიფათოა! — თქვა მან.

— თქვენ შუბლზე ჭრილობა გაქვთ!

— არა უშავს, ჰოსპიტალში მომბანენ. სად არის ავადმყოფი?!

ამ დროს მატროსებიც გამოჩნდნენ, ჯალამბარი ზევით აეწიათ და ისე მობქონდათ.

პაბლო ნავარამ ტრაპის ბოლო დაითრია; როცა მატროსებმა ჯალამბარი გემბანზე დადგეს, ნავარამ ტრაპი იქით წაიღო. გოგიტიძე ტრაპის ბოლო საფეხურზე დასვეს და მერე თოკებით დააბეს. როცა ამ საქმეს მორჩნენ, ნავარამ ნიშანი მისცა და თოკის კიბე ვერტმფრენზე აათრიეს.

ჯურხამ თვალი გააყოლა ზანტად მიმავალ ტრაპს. მასზე მიბმული გოგიტიძე გემის ტანკის შახტში ჩაშვებული ფარანივით ქანაობდა. როცა ტრაპის ბოლო ვერტმფრენში შეათრიეს და გოგიტიძეც ფრთხილად აიყვანეს, ჯურხა დარწმუნდა, თუ ეს საოცარი მანქანა გემის კოშკებზე ფრთებს არ მიამსხვრევდა და უზიფათოდ გავიდოდა, გოგიტიძე გადარჩენილი იყო.

მერე ვერტმფრენზე ნავარა აიყვანეს. მანქანა სწრაფად მოწყდა და ჰავანას მიმართულებით თხელ ღრუბლებს შეერია.



ახალი წელი — ეს მარტოოდენ მხიარული და ხმაურიანი დღესასწაული როდია, ნაირფერად მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხით, სიურპრიზებით, თოვლის პაპას რომ გაუმზადებია ბავშვებისათვის... რამდენ სიხარულს გვანიჭებს ჩვენ, მოზრდილებს, ეს გულუბრყვილო სიურპრიზები...

მაგრამ ახალი წელი სულაც არ შემოიფარგლება სადღესასწაულო სუფრითა და კარნავალებით; ახალი წლის წინ ჩვენ რიგორღაც ვაჯამებთ ცხოვრების მონაკვეთის შედეგებს; იმასაც, რამდენი წელი იცხოვრა კაცმა, და რამდენი წელი მოანდომა ამა თუ იმ ნაწარმოებზე მუშაობას, თუ კი იგი მწერალი ან მხატვარია... ზოგჯერ წლებით ვითვლით, რამდენ ხანს არ გვინახავს მეგობრები, ნათესავები...

ახალი წლის წინ ძალზე მომინდა იმ ადგილებში ყოფნა, სადაც ბავშვობა და სიჭაბუკე გავატარე — საქართველოში ყოფნა, რათა მეხეტიალა ნაცნობ ვიწრო ქუჩებში, შევხვედროდი თანაკლასელებს, თანაკურსელებს, თბილისში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ნათესაობას.

წლები, წლები, წლები... ისინი გვშორდებიან და საფეთქლებზე გვიტოვებენ ჭაღარას, გულში კი მოგონებათა სევდას; ჩვენ მათ ვხვდებით და ვაცილებთ ყოველ ახალ წელს. გვიხარია, თანაც ცოტასაც ვწუხვართ დაკარგულ წლებზე, და რამდენი საქმეც არ უნდა გვქონდეს გაკეთებული, ყოველთვის გვეჩვენება, რომ მეტის გაკეთება შეგვეძლო.

ზოგი წელი იღბლიანია, ზოგი არც თუ ისე იღბლიანი...

მაინც როგორი იქნება 1978 წელი? სულითა და გულით მინდა გისურვოთ ყველას, ჩემ მეგობრებს, თანამემამულეებს, მახლობლებს, რომ ეს წელი ბედნიერი იყოს!

ახალ წელს გაგაცნობთ ჩემი რომანის „დილეტანტთა მოგზაურობის" მეორე ნაწილს, რომელიც ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვში" გამოქვეყნდება.

**ბულატ ოკუჯავა,**
მწერალი

## გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

### გვილოცავენ მოსკოველი თანამემამულენი



მალე 42 წელი შესრულდება, რაც მე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მოსკოვში ასპირანტურაში მივავლინეს; მას შემდეგ ჩვენი დიადი ქვეყნის დედაქალაქში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ.

მგზნებარედ მიყვარს ჩვენი მზიური საქართველო, ხარბად ვიჭერ იქიდან მოსულ ყოველგვარ ცნობას; მიხარია ყველა ის წარმატება, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს უკანასკნელ წლებში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სულითა და გულით მივესალმები რესპუბლიკის ცხოვრებაში დამკვიდრებულ ყოველივე ახალსა და პროგრესულს.

ყოველნაირად ვცდილობ, ჩემი წვლილი შევიტანო საქართველოს წინსვლის საერთო საქმეში — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტების მომზადებაში, მის ტერიტორიაზე ახალი სამეცნიერო ცენტრების შექმნაში, მრეწველობაში პროგრესული მეთოდების დანერგვაში.

ახალი წლისათვის რუსთავის ქიმიურ ქარხანაში ამოქმედდება კაპროლაქტამის წარმოების ახალი დანადგარი. ინსტიტუტის განყოფილებაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, სტაჟირება გაიარა ათმა მეცნიერებათა კანდიდატმა და ორმა მეცნიერებათა დოქტორმა, რომლებიც ამჟამად რესპუბლიკის სამეცნიერო ინსტიტუტებში მოღვაწეობენ.

1978 წელს ბათუმში დაიწყება ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო ცენტრის მშენებლობა, რომელიც დაამუშავებს პოლიმერული მასალების გამოყენებით ზღვისა და ოკეანის წყლის მტკნარ წყლად გადამუშავებისა და ოკეანის ფსკერის ათვისების პრობლემებს; იქ ჩემი მოწაფეები იმუშავებენ.

მხურვალედ მივესალმები საქართველოს ყველა მშრომელს და ვუსურვებ სიკეთეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდ წარმატებებს ახალ 1978 წელს.

**კირილე სალდაძე,**
ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პლასტიკური მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.



აი დასრულდა ყველასათვის ისტორიად ქცეული 1977 წელი: დაიწყო ახალი, 1978 წელი და ჩვენ წინაშე დაისახა კიდევ უფრო საპასუხისმგებლო ამოცანები: განვამტკიცოთ მიღწეული, მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებანი. ჩვენ, მშენებლებს, ეს განსაკუთრებით გვაღელვებს, ჩვენ ხომ ვაშენებთ ახალ ქალაქებს, გაგვყავს გზები, ვაგებთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალს. საუკუნის გიგანტური მშენებლობა ჩვენი პირდაპირი და სისხლხორცეული საქმეა.

მეამაყება ის ჯილდოები, ბამის მშენებელი ჩემი თანამემამულეები რომ იღებენ, მახარებს მათი მისამართით ნათქვამი ქების სიტყვები. ეს შესანიშნავი ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებმაც მშობლიური სახლ-კარი მიატოვეს იმისათვის, რომ თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ ყველაზე ძნელ საქმეს, მაგონებენ ენთუზიასტთა ჩვენ თაობას. ასე იყო მაშინაც, მძიმე ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ჩვენ, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა, დავტოვეთ საქართველო, რათა დავხმარებოდით ქვეყანას ომით დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, ხიდებისა და გზების აღდგენაში; სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, ყველგან გვიფასებდნენ.

რაოდენ მტკივნეული იყო ჩემთვის, როცა მესმოდა, რომ ცალკეული უპატიოსნო ადამიანები არცხვენდნენ ქართველ ხალხს, და რაოდენ სასიხარულოა, რომ რესპუბლიკაში მომხდარმა გარდაქმნებმა ბოლო მოუღეს ამ უმსგავსოებას. აქ დამყარებულმა ჯანსაღმა მორალურ-ფსიქოლოგიურმა კლიმატმა ძირეულად შეცვალა ადამიანთა გუნება-განწყობილება, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა.

მინდა ვუსურვო თანამემამულეებს წარმატებანი ამ საპასუხისმგებლო, ძნელ საქმეში. გამარჯვებებით ყოფილიყოს დამშვენებული ხვალინდელი დღე ჩვენი რესპუბლიკისა!

**თენგიზ გოგიჩაიშვილი,**
სსრ კავშირის ტრანსპორტის სამინისტროს ყაზახეთისა და შუა აზიის სარკინიგზო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი.

კოლაუ ნადირაძე



## ფოთოლცვენა

მთელი ზაფხული ჩემი სარკმელი
დღისით და ღამით მრჩებოდა ღიად:
ფოთლებს ჩემთვისაც დარჩათ სათქმელი
და მეც ვუსმენდი იდუმალ შრიალს.

ვუსმენდი ლოცვებს, ართქმულს აროდეს,
ფოთლებს, დავერცხლილს მთვარით და
ნამით.
ვნატრობდი: ნეტავ ასე გალობდეს
სიცოცხლის ყველა წუთი და წამი!

ეს იყო ლხენა! რა დამრჩა ახლა?
ვის გაჰყვა ცისფერ ფოთოლთ შრიალი?!
ვინ მითხრას: დარჩი, დარჩი ჩემს ახლო,
გავიყოთ ერთად ხვედრი ტიალი?!

ზამთრის პირია. ქცეულნი ოქროდ, —
მიწაზე ყრიხართ, საბრალოდ ეგზომ!
ქარი ვერანი თქვენს შორის ოხრავს,
აფორიაქებს ქუჩებს და ეზოს.

წვიმს და ქარია. რა ცივი დღეა!
დაჰქრის ფოთოლი ცამდე ასული...
ასევე, ალბათ, ფოთლებად ჰყრია,
სიზმრად ქცეული ჩემი წარსული!

# როგორ იწერება მოთხრობა

გიორგი გულია

მოთხრობა

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ბიძია ბესლანმა საჩუქრად თიკანი ჩამოგვიყვანა. ნამდვილი ქათქათა, ლოლობრიჯიდას თვალებიანი ანგელოზი იყო.

— ჩვენებური თიკანია, — ამაყად თქვა ბიძიამ, — ლათური! ნაღდი მთიელია. მხოლოდ ბალახს ჭამს, იშვიათად — ხმელ ფოთლებსაც.

ყველანი სიხარულით ცას ვეწიეთ, ბესლანი რომ გვესტუმრა და სოფელ ლათიდან თიკანი ჩამოგვიყვანა, მაგრამ განსაკუთრებით პატარა ტანიამ გაიხარა. ერთსაც კარგად გავუმასპინძლდით და მეორესაც. ორივენი დიდებულად გრძნობდნენ თავს, განსაკუთრებით კი თიკანი, რომელსაც ტანია წამითაც არ იშორებდა. ეტყობა, მათ ესმოდათ ურთიერთის.

ბესლანმა ჩემ ქაღალდებს ალმაცერად გადახედა.

— ვწერთ, არა? — ირონიულად მკითხა მან.

— ვწერთ! — მივუგე მე.

ჭიქიდან „იზაბელა" მოსვა.

— ჩემთვის ყველაფერი გასაგებია; ისიც კი ვიცი, როგორ კეთდება თვითმფრინავი, როგორ აგროვებს ფუტკარი თაფლს, მაგრამ ამისი, — ბესლანმა ქაღალდებზე მიმითითა, — ვერაფერი გამიგია! ყველაფერს თვითონ იგონებ?!

მე ორჭოფული პასუხი გავეცი.

— მაშ, ყველაფერი შენი გამოგონილია? — განაგრძობდა ბესლანი, — გასაკვირი ამბავია! ახლა ქალაქში მიმეჩქარება, ორ დღეში ისევ თქვენთან ვიქნები და მაშინ ამიხსენი ყოველივე.

ჭიქა დაცალა და გამოგვეთხოვა; ბესლანი ძალზე ჩქარობდა, რადგან ღამდებოდა და ქალაქში გასამგზავრებლად მანქანა უნდა ეშოვნა.

დაღამდა... ტანია დაღალა თიკანთან თინბაზობამ და დასაძინებლად დააწვინეს. ჩვენ გული ვიჯერეთ ქათქათა „მთიელის" ალერსით და ჩაის დასალევად გავწიეთ. ლათელ სტუმარს შეეძლო მარტოობითა და სიმშვიდით დამტკბარიყო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! უცებ თავისი მთიულური წამოიწყო. თავიდან როგორღაც სასიამოვნოდ კიკინებდა — ფლეიტასავით რაკრაკა ხმას გამოსცემდა და სიხარულით ცას ვეწიეთ: ეს რა სირინოზის ხმიანი ანგელოზი მოგვევლინაო. უდიდესი სიამოვნებაა სვამდე ჩაის, ნამდვილ აფხაზურ ჩაის, და ლათურ მუსიკას ისმენდე.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ თიკნის მუსიკა მკვეთრად შეიცვალა: სენტიმენტალურმა ჰანგმა მწარე ნაღველს დაუთმო ადგილი. ეს გასაგებიც იყო. აქედან ლათა ხომ შორს მდებარეობდა, ხოლო ბალახი და ეკალ-ბარდები — კიდევ უფრო შორს. მისი ახალი მუსიკალური ჰანგები მხოლოდ ნაღველს კი არ გამოხატავდა, არამედ სასოწარკვეთასაც. იმ სასოწარკვეთას, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილს რომ ეუფლება...

ჩვენ რატომღაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ქათქათა თიკანი დაკმაყოფილდებოდა ორნაწილიანი სიმფონიით. თუმცა მას უფრო რთული შემოქმედებითი მიზანი დაესახა. ეს სულ მალე კარგად ვიწვნიეთ.

ჩვენს სტუმარს სულ უფრო და უფრო ევსებოდა გული მთებსა და თავისიანებზე დარდით. იგი განუწყვეტლივ ფიქრობდა თავის წვეროსან მამასა და ალერსიან დედაზე, თავის ღვიძლ და-ძმებსა და ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებზე. სიმფონიის ნაწილი, რომლის შესრულებასაც თიკანი შეუდგა, მუსიკალურ კრიტიკოსს შეეძლო ასე დაესათაურებინა: „სამშობლოდან დაშორებით". ლათელს კლასიკური ჰანგები უკვე აღარ აკმაყოფილებდა — კონკრეტული მუსიკის ამ პირწავარდნილმა მიმდევარმა გასცა თავი! ქათქათა ანგელოზის სავსებით თანამედროვე კაკაფონიამ გული მოგვიკლა. მაგრამ ეს თურმე დასაწყისი ყოფილა, მთავარი კი წინ გველოდა.

შუაღამე იქნებოდა, თიკანი პინგ-პონგის სათამაშო მაგიდის ფეხზე რომ გამოვაბით და დავწექით. ყოველივე ამასთან ერთად მუსიკოსი თიკანი ერთობ კაცთმოყვარე გამოდგა: საკმარისი იყო, თუნდაც ერთი წამით დაგვეტოვებინა თავისი მოგონებების ამარა, რომ გულისგამაწყალებელი მუსიკა მაშინვე მთელ ეზოს მოდებოდა.

ჩვენ მას ნედლი ბალახი მოვუტანეთ. მთელი ოჯახი ვეძებდით მისთვის ბალახს. მაგრამ ამან ვერ გვიშველა. მაშინ გადავწყვიტეთ, გაგვეწირა ვარდის ის ბუჩქი, რომლითაც თიკანი თავიდანვე მოიხიბლა.

საჭმელებში თიკანი ისე კარგად ერკვეოდა, თვით ფრანგ მარკიზებსაც არ ჩამოუვარდებოდა. პირდაპირ უნდა ითქვას, ვარდი მას ძალიან მოეწონა. მაგრამ იგი მხოლოდ ნახევარ საათს ეყო. ზუსტად ოცდათერთმეტი წუთის შემდეგ ისევ ახალი ძალით მორთო შემზარავი კიკინი. ვიგრძენი, მთელი ჩვენი ოჯახი გაიტრუნა: ვინ ამდგარიყო?!

სხვებზე ადრე ჩემ დას წასძლია სულმა. მესმოდა, იგი ხან ალერსით, ხან სევდიანი ჩურჩულით უპირებდა თიკანს დამშვიდებას. მერმე ბალახს დაუწყო გლეჯა, მას თან ვენახის რამდენიმე ტოტიც მოაყოლა. მაგრამ კმაროდა თუნდაც ერთი ნაბიჯით გასცლოდა ანგელოზს, რომ მთელი ეზო შემზარავ კიკინს აევსო.

ეს ნამდვილი ხათაბალა იყო!

— სად არის ვალერიანის წვეთები? — ხმამაღლა იკითხა ჩემმა დამ.

— სამზარეულოშია! — მიუგო დედამ.

მთელი ჩვენი ოჯახი ვალერიანის წვეთების ძებნას შეუდგა.

მერმე იგი ყველამ რიგრიგობით დავლიეთ. ისევ დავწექით და დაძინება ვცადეთ.

ამჯერად ჩემმა დისწულმა ვერ გაუძლო ცდუნებას. მესმოდა, როგორ ესაუბრებოდა იგი თიკანს ფეხების მოშველიებით. ქათქათა ყაჩაღანა მზად იყო მოეთმინა ცემა-ტყეპა, ოღონდ ღამე მარტოდმარტო არ დარჩენილიყო.

გვეგონა დამშვიდდაო. სინამდვილეში კი სრული გაუგებრობა გახლდათ. ჩემმა დისწულმა ხმამაღლა თქვა:

— ამას პალმა ნდომებია. შეიძლება ვაჭამო?

— თუ პალმას აჭმევთ, აუცილებლად ყავაც დააყოლებინეთ! — ხმა ამოიღო ჩემმა ბიძაშვილმა, აქამდე თავს რომ იმძინარებდა.

ცოლს მოვეთათბირე. გადავწყვიტეთ, მივცეცა პალმა. დედამ თავისი ოთახიდან გამოგვძახა:

— მეორე პალმაც აჭამეთ!



დარეჯანის სასახლე.

თარხან არჩვაძის ფოტო

# ოქროსმაძიებლები...

## საახალწლო სალაღობო სტრიქონები დინამოელებს

დაიზეპირეთ დამარცვლით:
ჩვენთვის, ახლანდელ დროშია,
ფეხბურთი მარტო თამაში
და მარტო ბურთი როდია!..
უკვე მხოფლიოს მოედო
და აღარ არის მალული,
რომ საჭარიმო მოედნის
ხელაა თქვენი მამული!
ამ მოედნისთვის იბრძოლეთ!
აჭობეთ შემტევ გრიგალებს!
გამოიყენეთ ბურთისა
და დედამიწის სიმრგვალე!
რა ვუყოთ, ზოგი არბიტრი
თუ ზოგჯერ ნაღდ გოლს არ
გვითვლის!
სულ ასე ხომ არ იქნება,
ხომ შეიცვლება ამინდი?!
დე, მეტი გოლი გაგქონდეთ
და მეტი ქულა მოგქონდეთ!
გახსოვდეთ: ერთი სეზონი
დაგრჩათ ვერცხლიდან ოქრომდე!
ქართულად უნდა იქუხოთ!
ქართულად უნდა იქექოთ!
საქართველო დგას თქვენს უკან!
აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!

* * *

გიგლამან ფირცხალავამან
თქვენს შარვებს ლამე უთია!..
ფეხბურთს თვითონაც თამაშობს
ამიტომ თავი ბურთში აქვს!
დიდი ქართული სპორტისთვის
ფუნჯი, პალიტრა უნთია!
თქვენი არ ვიცი, პირადად
მე გიუას ვუწირ ხუთიანს!





**ნიაზ ძიაპშიპას
სლავა მეტრეველს
სერგო კუტივაძეს**

შეტევა მატჩის ბოლომდე! —
„დინამოს" ამას ასწავლით!
თქვენს ხელში ჩვენს გუნდს
მუოლოდეს
გუნდი და გუნდი გარსკვლავი!



**ნოდარ ახალკაცს**

რაც შენ მხნელ-მწვრთნელად
მოხვედი,
სადარდებელი აღარ გვაქვს!
დამდგმელ რეჟისორს მოგების —
გაუმარჯოს ნოდარ ახალკაცს!



**თენგიზ ძაძავარიანს**

„დინამოს" ადმინისტრატორს —
დიდება მაჟავარიანს! —
სულ დრიბლინგებით აკეთებს
ყველაფერს, რაც ავალია!



**ზაქრო თელიას**

გუნდის განთქმული ექიმი
ხარ და ვინ უნდა მოგვიგოს?! —
ძვირფასო ზაქრო ბატონო —
ჩვენი „დინამოს" დოპინგი!



**თამაზ კოსტავას**

ეგ შენი ნიჭი, დიდი ტექნიკა,
ძალა, სისწრაფე, თამაზ კოსტავავ,
კულმინაციას როცა მიაღწევს,
მე დაგიდგები მაშინ მლოცავად!

**პირუზ კანთელაძეს**

ფირუზი — ჩვენი დაცვის კედელი —
„კომბინატორთა" თავში წერია!
ის მაყურებლის მაამებელი
და მისი ტაშის მომხვეჭელია!





**დავით ყიფიანს**

ზეტოტალური ფეხბურთის
ხარ დიდოსტატი დავითი!
შენ გაიტანე გოლები,
მე დავჯდები და დავითვლი!



**ვიტალი დარასელიას**

მინდორზე კომბინაციის
ცირკს აწყობს დარასელია:
თავს ესხმის, ურტყამს, ატყუებს
და მაინც არა „რცხვენია"!



**რევაზ ჩელებაძეს**

მიხარია, როცა გხედავთ
ხშირად, არა ხანდახანა:
შენ — პირისპირ მეკარესთან,
მეტოქეებს — განდაგანა!



**ვლადიმერ გუცაევს**

ბურთით გაწყდი და გაფრინდი,
მინდორი გადინადირე
და მეკარესთან პირისპირ
გრიგალად გადი, ვლადიმირ!



**დავით გოგიას**

არ ეშინია კარისკენ
მეტოქის გამოქანების!
ბურთია დავით გოგიას
ხელიხელსაგოგმანები!



**დავით მუჯირს**

თუმც ოსტატი ხარ ნამდვილი,
ერთ რჩევას მოგცემ, მუჯირთ
მეტოქეს ბურთი თავზე და
ფეხებზე არ „დაუჯინო"!



**ზაურ მაჩაიძეს**

მაჩუჩარი არის ბურთის
დიდი კერძომესაკუთრე!
სტადიონზე მოდით წუთით
და გაჩვენებთ მე საბუთებს!



**შოთა ხინჩაგაშვილს**

შენ რომ არ გვყავდე, „დინამოს"
და ნაკრებს გაუჭირდებათ!
ჩვენ ერთი შოთა კი არა,
მრავალი შოთა გვჭირდება!



**ვახტანგ ქორიძეს**

შენ ფეხბურთის ღმერთს უყვარხარ!
ბევრი გაჰყევს, ნეტავ შენს კვალს!
მოედანზე ფეხს რომ შედგამ,
სიხარულით ბურთი ცეკვავს!

**მინაწერი ციურიხში დამარცხების შემდეგ**

არასდროს გაიმეოროთ
ის საქციელი ნაძრახი!
აწი სათასო მატჩებში
აღარ დაისხათ თ ა ს ლ ა ფ ი!



**ოთარ გაბელიას**

ცაში აგიყვან ქებითა —
ჩიტივით მფრინავ გოლკიპერს
ველარ შეგაქე აქამდე,
შენ ჩემო თავი მოგიკვდეს!



**რამაზ შენგელიას**

მუდამ კარისკენ მიფრინავს
შესასვენებლად ვერ იცლის,
ბომბავს კარსა და მეკარეს
ეს დიდი „კარიერისტი"!



**გოჩა მაჩაიძეს**

აგვიხდა: გახდა ბოლო დროს გოჩა
ბურთისწამგლეჯი, გამომძალველი!
მაჩაიძეთა ვადიდებ ოჯახს
და დიდ მადლობა ვუხდი ბრძანებით!



**ნოდარ ხიზანიშვილს**

ბურთისთვის სასტიკ ბრძოლაში
დაუდეგარი მშფოთვარი
არის და გამარჯვებული
გამოდის კიდეც ნოდარი!



**ვახტანგ კოპალეიშვილს**

მინდა: მინდორზე დრიბლინგით
ფინტები მიპნი-მოპნიო,
გიწოდონ კოპალეიშვილს
კოპას და პელეს კოპიო!



**ანზორ გაბიტაშვილს**

ვაშა შენ — ვაჟკაც მასაჟისტს!
საამური ხარ სამზერად!
ზოგიერთ მსაჯსაც არ აწყენს
შენგან გვერდების დაზელა!..

ზაურ ბოლქვაძე
გიგლა ფირცხალავა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

- თბილისი. მტკვრის სანაპიროზე.
- თბილისის რკინიგზის ვაგზლის ახალი ბაქანი.
- ფუნიკულორის ქვედა სადგურში.

თარხან არჩვაძისა და
ალექსანდრე საკოვის ფოტო





— ამას მხოლოდ ფინიკის პალმა უნდა.

— ნეტავ დაფნის ფოთოლს არ მიირთმევს? — ვთქვი მე.

ერთი წუთის შემდეგ ჩემმა დისწულმა სავსებით სერიოზულად მომიგო:

— უსუპოდაც მშვენივრად ჭამს!

მადლობა ღმერთს, სიწყნარე დამყარდა. ფანჯარაში გადავიხედე. გარეთ მთვარე კაშკაშებდა. თიკანს პალმისა და დაფნის უზარმაზარი ხის ფონზე ქათქათი გაუდიოდა, მას თავზე ადგა ჩემი დისწული დიმა. თიკანი ფოთლებს წიწკნიდა და მალიმალ იცქირებოდა, ამ კეთილმა ახალგაზრდამ ხომ არ მიმატოვაო.

— დიმა, დაწექი! — ვუთხარი მე.

— იყვირებს!

— არ იყვირებს, დაწექი!

კარებში ჩემი და გამოჩნდა.

— თიკანთან მე დავრჩები, დიმა კი დაიძინებს! — თქვა მან.

— ეს ავადაა, — მითხრა ცოლმა, — ერთ საათს შეიქციე თიკანი და მერე მე შეგენაცვლები.

პავლენკოვის მიერ 1910 წელს გამოცემული სქელტანიანი ლექსიკონი ავიღე და აივანზე გავედი. დიმამ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დამითმო თავისი პოსტი. მაგრამ, როგორც ჩემმა დამ განაცხადა, თურმე იგი დიდი ხანია ოცნებობდა თიკანთან განმარტოვებულიყო.

— მე ძალიან მიყვარს ცხოველები, — გამომიტყდა ნაშუაღამევის სამ საათზე.

თიკნის გართობის პოსტზე კიდევ გაჩნდა ერთი პრეტენდენტი: ეს დედაჩემი გახლდათ. დავიწყეთ დავა. ხმას თანდათანობით ვუწევდით. მაშინ ჩვენი გასამართლება ჩემმა ცოლმა გადაწყვიტა: თიკანთან მე დავრჩები, რადგან აწი მაინც ვერ დავიძინებო.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, რომ თიკანი დიდი ყურადღებით ისმენდა წონასწორობადაკარგული ადამიანების ამ ღამისეულ საუბარს; მე რჩოლვა დამიწყო. ნამდვილად მხარს მიჭერდა.

— მე სულაც არ მეძინება, — მითხრა დედამ.

— არც მე მეძინება, — მივუგე მე.

ჩემმა ცოლმა ახალი წინადადება წამოაყენა: თიკანი რიგრიგობით გავართოთო. სანამ ამ საკითხზე ვმსჯელობდით, ინათა კიდეც. პალმა და დაფნა შიშველნი იდგნენ. ამ დიეტურმა საკვებმა თიკანი არნახული ძალით აღჭურვა და რჩოლვა დაგვიწყო: გამოქანდებოდა და დაგვეჯახებოდა, ისევ გამოქანდებოდა და ისევ დაგვეჯახებოდა.

— ფეხზე ველარა ვდგები, — წარმოთქვა ჩემმა დამ, — თქვენ ისაუბრეთ, მე კი წავალ და დავიძინებ. სხვათა შორის, თიკანს მე წყალს დავალევინებდი!

— ღმერთო ჩემო, რა მიუხვედრელი ხალხი ვართ — ყველა ძუძუმწოვარა ხომ წყალს სვამს!

— თვით ვეშაპიც კი, — დამიდასტურა ლოგინში მწოლიარე დისწულმა (ყოველივე ეს მის ფანჯარასთან ხდებოდა).

— მოდით, თიკანი დიმასთან შევიყვანოთ, — ვთქვი მე, — დიმა იმდენად ახალგაზრდაა, რომ მისთვის ღამის გატეხა დიდს არაფერს წარმოადგენს, ჩვენთვის კი ნამდვილი ტრამვაა.

— კი, ბატონო, — თქვა დიმამ, — ოღონდ მე არ დამადანაშაულოთ, თუ ზეწარი დაღეჭა და ოთახსაც არ დავალაგებ ხვალ.

როგორ შეიძლებოდა ამ დროს არ გაგვხსენებოდა ანეგდოტი თხის სუნის შესახებ? მართლაც, არც თუ ისე ადვილი საქმეა თხის სუნის გაქარწყლება, თუკი ოთახში დაიბუდა...

წყალი თიკანს ფაიფურის ღრმა ხონჩით მივართვით. არამზადამ წყალს დახედა და მშვიდად განაგრძო ცოხნა.

— არ დალევს წყალს, — თქვა დედამ.

— რატომ? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ ხონჩის ფსკერზე ყვავილებია დახატული, ამას კი აღარ შია.

— მისმინეთ, ხალხო, — ისევ დაიძახა დიმამ თავისი თბილი ლოგინიდან, — ამას მარილიანი წყალი უნდა. ესენი ხომ მთებში მარილს ლოკავენ!

წყლის, ისიც მარილიანი წყლის მოსატანად გაქცევა სავსებით უბრალო საქმე გახლდათ, საბედნიეროდ, ზღვა იქვე იყო. ვინ უნდა წასულიყო წყლის მოსატანად?

— დიმა, — ვუთხარი მე, — არა გრცხვენია? ბებია წყლის მოსატანად აპირებს წასვლას, შენ კი საწოლში ნებივრობ!

ბიჭმა უცებ შემზარავი ხვრინვა ამოუშვა. იძულებული გავხდი, წყლის მოსატანად წავსულიყავი.

დიდი ხანი იყო, ზღვა ასე დილაადრიან არ მენახა: იგი უჩვეულოდ კამკამა, მშვიდი და მარილიანი წყლით პირთამდე სავსე გახლდათ.

მასში, როგორც მდორე ტბაში, ოქროსფერი ღრუბლები ირეკლებოდა. შორს მეთევზეთა პატარა ნავი მიცურავდა. სადღაც მაღლა თვითმფრინავი გუგუნებდა, თავში რაღაც მიშხუოდა...

წყალი ამოვიღე და თიკანთან მივბრუნდი. იგი ასფალტზე თვლემდა, გარს კი ჩვენი ოჯახის წევრები შემოეხვეოდნენ, დრუნჩი თეფშში ჩავაყოფინე. ტუჩები მოისლიქა, წამოდგა და იქ მყოფთა სადღეგრძელო დალია. თუმცა სადღეგრძელო არ წარმოუთქვამს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სტუმართმოყვარეობისათვის სამადლობელო მის თვალებში ნათლად გამოსჭვიოდა.

დილის ექვსი საათი იყო. ჯერ კიდევ შეგვრჩენოდა იმედის ნატამალი, რომ ცოტას მაინც შევძლებდით წათვლემას; ვცადეთ, ფეხაკრეფით გავპარულიყავით. მან ცოხნა შეწყვიტა და თავის საზიზღარ ენაზე გვკითხა:

— პე-ე-ე... ვინღა... პე-ე-ე... რჩება... პე-ე-ე... ჩემ... პე-ე-ე... თან?!

„მე შენ გიჩვენებ პეეს" გავიფიქრე მე და სამზარეულოში დანის მოსატანად გავიქეცი.

კინაღამ ცოდვა დავატრიალე...

— ძილი გატეხილია, — თქვა ჩემმა ცოლმა, — ფეხზე დგომა მაინც რომ შევძლოთ, მოდით, ყავა დავლიოთ!

მალე ყავას ვსვამდით, ის არამზადა კი ჩვენს ფეხებთან იწვა და ნეტარებით იღიმებოდა.

დედაჩემმა თქვა:

— დილის ყავა სასარგებლოა.

მე ჩამთვლიმა და ყავა შარვალზე გადამეღვარა. იმ დღიდან თხები და ყველა ჯურის ცხვრები ჩემს უბოროტეს მტრებად იქცნენ. ჩემი გადაწყვეტილებისათვის, ასე ვთქვათ, ოფიციალური ფორმა რომ მიმეცა, იმღამინდელი ამბავი ქაღალდზე გადავიტანე.

მესამე დღეს, ბესლანი რომ გამოჩნდა, ყველანი დაძაბულები ვიყავით. იგი ვერაფერს მიხვდა, სანამ მოთხრობა არ წავუკითხე. ბიძია ბესლანმა ხელები გაშალა.

— ძალიან კი შემიწუხებიხართ, — მითხრა მან, — მაგრამ შენც მატკინე გული. თუმცა მაინც მადლობელი ვარ შენი: ახლა ვიცი, როგორ იწერება მოთხრობა, — მცირე ხანს ჩაფიქრდა და დაუმატა: — ისე არ ყოფილა ძნელი საქმე, ხომ იცი შენ!

— მართალი ხარ, — ძლივს წავილუღლუღე და იმწამსვე გრძნობა დავკარგე.

უცნაური კია, მაგრამ გონს ლათელი ქათქათა თიკნის კიკინმა მომიყვანა.

თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ



ნ. ლომაძის ფოტო.

# მურად მართალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერია, — ამბობს ქართული ანდაზა. ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში ბევრი გონიერი ადამიანია და ამიტომაც ეს სოფელი არა მარტო თავისი სილამაზითა და დოვლათით არის განთქმული აჭარაში და მთელს საქართველოშიც, არამედ და უპირატესად, ამ დოვლათის შემქმნელი ადამიანებით.

სოფელს ცხრამეტი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს!

როცა ქობულეთის რაიონს ვესტუმრე, პირველ რიგში ბობოყვათისაკენ გავწიე. გადაწყვეტილი მქონდა ამ გმირებთაგან ერთ-ერთი შემერჩია და მის ცხოვრებასა და საქმიანობაზე მომეთხრო.

... ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოთახში ვსხედვართ. ჩვენს გარდა კიდევ ოთხი-ხუთი კაცია, თათბირობდნენ და ჩვენ შევაწყვეტინეთ. გამრჯე, მშრომელი კაცის ნახვა და მასთან საუბარი გვინდაო, ვუთხარით. დამხვდურები ერთ ხანს ჩაფიქრდნენ, ეტყობა, არც ისე იოლი იყო უამრავი გამრჯე გლეხკაციდან ერთის შერჩევა.

— არ გვინდა მაინცდამაინც გმირი, მათზე ისედაც ბევრი იწერება, უბრალო, რიგითი მშრომელი ავილოთ, თავისი მუხლმოუდლელი შრომით ბევრ გმირს რომ არ ჩამოუვარდება, — გვითხრა თავმჯდომარემ.

... ზაფხულის დღე შემოდგომის მიწურულს უფრო შეესადაგებოდა—დილიდანვე გულისგამაწვრილებლად ცრიდა, ციოდა კიდეც. ასეთ დროს სად უნდა ყოფილიყო ხანდაზმული კაცი, თუ არა შინ. ჩვენც გეზი შინისაკენ ავიღეთ. მანქანა ერთი კოხტა კარმიდამოს წინ შევაჩერეთ და მასპინძელს გავძახეთ.

— რომელი ხარ, მობრძანდით! — მოგვესმა ეზოს სიღრმიდან. მასპინძელი ტალახიან შარვალს იწმენდდა და თან გვიბოდიშებდა, წვიმდა და ვიფიქრე, ბაღს მივხედავ-მეთქი.

საუბარი სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან გაგრძელდა, ჩემი დაწურული ადესა უნდა გაგასინჯოთ, — ბრძანა მასპინძელმა.

— 72 წლის ვარ, 1931 წლიდან კოლმეურნეობაში ვმუშაობ. ოცდაორი წელიწადი ჯერ მეცხოველეობის ფერმაში ვიმუშავე, ჩაისაც ვკრეფდი, ციტრუსებსაც ვუვლიდი. მამა-პაპისაგან მომყვა მიწის, შრომის სიყვარული, დღედაღამ მიწას ჩაკირკიტებდნენ. ჩემი არ იყოს, ისინიც უსწავლელი იყვნენ, მაგრამ კაცი კი გამომიყვანეს. ამასვე ვუნერგავდი ჩემს შვილებს, — იცოდეთ მიწისა და შრომის ყადრი, საქმე გიყვარდეთ, ინტერესი გქონდეთ რამისა, თორემ ცხოვრება გაგიჭირდებათ-მეთქი. ოთხი შვილი მყავს, ერთი ქალი და სამი ვაჟი. ოთხივე დაბინავებულია, ოთხივე მუშაობს, უკმაყოფილო არც ერთის არა ვარ... — დინჯად, აუჩქარებლად საუბრობს მურად მართალიშვილი, თითქოს ყოველ სიტყვას წონის.

მურად მართალიშვილი პენსიონერია, მაგრამ მოსვენებულს ვერ ნახავთ. გული მუდამ კოლმეურნეობისაკენ მიუწევს, საკუთარი ბაღი არა აქვს გათოხნილი, კოლმეურნეობის ველ-მინდვრებში რომ ტრიალებს.

— დაუზარელი კაცია, რაიმე რომ გაგვიჭირდება, საკითხავად ბატონ მურადისთან მივდივართ, ბევრი ლაპარაკი და თავის ქება არ უყვარს, აგვიხსნის, დაგვარიგებს, ხშირად კი დაუყონებლივ წამოგვყვება ხოლმე, — გვითხრეს სოფლის თავკაცებმა. ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ პენსიონერობის მიუხედავად, ხალხს იგი საბრიგადო საბჭოს წევრად აურჩევია.

— ცხოვრებაში ჩემი მთავარი მიზანი ყოველთვის იქნება ხარისხიანი მუშაობა, აბა უხარისხოდ გაკეთებულ საქმეს რა ფასი აქვს, ჯობს სულ არ გაეკარო.

სხვათა შორის, მურად მართალიშვილს მშვენიერი ხმა და სმენა აქვს, წლების მანძილზე ბობოყვათის კოლმეურნეობის მომღერალთა გუნდის წამყვანი სოლისტი იყო.

ჩვენს მასპინძელს სიმღერამ ახალგაზრდობა გაახსენა; კარგი იყო წინათ, ამდენი ტექნიკა მართალია არ გვქონია, მაგრამ ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა წელებზე ფეხს იდგამდა და ისე მუშაობდაო.

— ახლა, ზოგიერთ ახალგაზრდას რომ ვუყურებ, ვღიზიანდები ხოლმე. ჩვენი ხნის ხალხს საგარეო ჩასაცმელი სად გვქონდა, ახლანდელ ახალგაზრდობას ოთხი-ხუთი ხელი არ ყოფნის, ოღონდ ზოგიერთს, ყველა რომ ასე იყოს, რა გვეშველებოდა. ეს ოჯახზეც დიდად არის დამოკიდებული. მოზარდს თუ დამოუკიდებლად შრომა არ შეაყვარე, მზამზარეულად მიართვი ყველაფერი, რაღა უნდა ქნას, ბუნებრივია, გაზარმაცდება და შრომაზე კი არა, სწავლაზეც აიცრუებს გულს. უსწავლელი ვარ და კარგად ვიცი სწავლის ფასი, ამაზე მეტი სიმდიდრე რა უნდა იშოვოს კაცმა. ისე არ გამიგოთ, თითქოს ჩვენს ახალგაზრდობაზე ავუგის თქმა მინდა;




ჩვენში, ესპანეთში, ახალი წელი ისევე, როგორც, ალბათ, მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნება. ყველგან იმართება სადღესასწაულო კარნავალები, რომლებსაც თან ახლავს ფეიერვერკი და ცეკვები ღია ცის ქვეშ; მაღაზიები, ქუჩები, სახლები მორთულია ათასგვარი სათამაშოებით; ყველგან სიხარულია. ხალხი სიმბოლურად ემშვიდობება ცხოვრების იმ მონაკვეთს, რომელიც წარსულს ჩაბარდა.

არ ვიცი, როგორი მწყალობელი თვალით გადმომხედავს ბედ-იღბლის ღვთაება ახალ წელს; ვფიქრობ, მოვიპოვებ მის სიმპათიას, მით უმეტეს, ამის საფუძველი ჯერ კიდევ 1977 წლის მიწურულს ჩაიყარა, როდესაც ხელი მოვაწერე საბჭოთა კავშირში ორთვიანი გასტროლების კონტრაქტს. ეს კი ჩემთვის სასიხარულო მოვლენაა. განსაკუთრებით მსიამოვნებს, რომ კვლავ ვეწვევი მზიური საქართველოს დედაქალაქ თბილისს, რომელთანაც შესანიშნავი მოგონებები მაკავშირებს. აქ მე პირველად ჯერ კიდევ სამოციანი წლების დამლევს გამოვედი ფილარმონიის ძველ შენობაში, და მაშინვე მოვიხიბლე მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს კეთილმოსურნე მსმენელით. მე პირველი შეხვედრისთანავე შემიყვარდა თქვენი უძველესი ქალაქი, მისი ბრწყინვალე კულტურის ძეგლებით, ახალმშენებლობებით, ძველი ქუჩებისა და თანამედროვე პროსპექტების კოლორიტით, ბაღებისა და პარკების სიხასხასით... ამიტომაა, რომ ბედის მიერ მოძლვნილ დიდ საჩუქრად მიმაჩნია ახალი შეხვედრა თბილისთან და თბილისელებთან. ეს შეხვედრა კი ახალი წლის იანვარში შედგება.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

**მიტჩელი,**

ესპანელი მომღერალი.

არა, ღმერთმა დამიფაროს. აბა ვინ, თუ არა ახალგაზრდობა აშენებს ბამს, საუკუნის მაგისტრალს, როგორც მას უწოდებენ.

ჩვენს ახალგაზრდობას იმდენი რამ აქვს გაკეთებული, ვერც კი ჩამოთვლი. საერთოდ, ძველ ხალხს ყოველთვის რაღაც არ მოგვწონს ახალგაზრდებში, რატომღაც ყოველთვის მეტს მოვითხოვთ მათგან. ეს ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება.

მასპინძელს რესპუბლიკის ამასწინანდელ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ჩამოვუგდე სიტყვა, სპორტს როგორ უყურებთ-მეთქი, შევეკითხე.

— დიდი საქმე იყო აქტივზე ფიზკულტურული მუშაობის საკითხის გატანა, ბევრი საყურადღებო რამ ითქვა იქ. ახალგაზრდებს ყოველმხრივ უნდა გავუღვივოთ ინტერესი, ავუშენოთ სპორტული ბაზები, კინოთეატრები. ამ ხნის კაცი ვარ და ჩვენი რაიონის მკვიდრი, რეზო ჩელებაძე გოლს რომ გაიტანს ან კომენტატორი რომ შეაქებს, ცაში დავფრინავ-ხოლმე. აბა ახლა ახალგაზრდებს დავუკვირდეთ, რეზოს თანატოლებს, რეზოს ამხანაგებს, ისინი ხომ ჩემზე უფრო განიცდიან მათი მეგობრის წარმატებას თუ წარუმატებლობას, ბევრი მიბაძავს კიდეც, ეცდება მასავით ითამაშოს. მაგრამ სად უნდა ივარჯიშოს, ითამაშოს თუ მოედანი არ ექნა, თუ ვერ გაიქც-გამოიქცა. სხვათა შორის, ბობოყვათში დიდი სპორტული კომპლექსის აგებას აპირებენ. ეს საშვილიშვილო საქმე იქნება. რაც მთავარია, იქნებ როგორმე დააკავოს ახალგაზრდობა მშობლიურ სოფელში, თორემ, როგორც ხუმრობენ, ქალაქი ვერ დაიტევს ამდენ „სტუმარს“.

ვუსმენთ მურად მართალიშვილს და გვსიამოვნებს, რომ ეს მშრომელი კაცი ასე საქმიანად საუბრობს ჩვენი სოფლის დღევანდელ პრობლემებზე. როგორც ვნახეთ, მურად მართალიშვილმა სპორტზეც ისაუბრა, კინოთეატრიც ახსენა და იცით რატომ? ბატონი მურადი ბევრ რამეზე ფიქრობს, ბევრი რამ აწუხებს, მაგრამ მთავარი, ვფიქრობ, ახალგაზრდებზე ზრუნვა და ფიქრია. ახალგაზრდობა კი ჩვენი ხვალინდელი დღეა, მან უნდა შეცვალოს მურად მართალიშვილი და მისი თანატოლები შრომის ფრონტზე, იქ, სადაც ამ ხალხმა თავისი გონიერებითა და სიყვარულით, საქმის, მიწის სიყვარულით ფეხზე დააყენა და სახელი გაუთქვა სოფელსა თუ რაიონს. დიახ, ამ ამაგდარ ხალხს, მართლაც, შესაფერისი შთამომავლობა უნდა ჰყავდეს, შთამომავლობა, რომელიც კიდევ უფრო შორს გაიტანს მშობლიური სოფლის, მშობლიური კუთხის სახელსა და დიდებას.

**დავით ჭელიძე**

# ერთი სურათის ბედი


ეროვნული ბიბლიოთეკა

1874 წელს ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ანდრია დადიანი პეტერბურგს დაბრუნდა. მას ცხოვრების გზა უნდა აერჩია; ახალგაზრდა კაცს ყველაზე მეტად ჭადრაკი იზიდავდა. იმ დროს მოჭადრაკის პროფესიაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. საზოგადოება ვერ გაუგებდა გულის ჯავარს, გაკიცხავდა. ახლობლები ისედაც უსაყვედურებდნენ ჭადრაკით გატაცებას. ანდრიამ სამხედრო კარიერა აირჩია და სამსახური რუსეთის არმიაში დაიწყო. ეს არ იყო შემთხვევითი გადაწყვეტილება. ბავშვობაში, როცა სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ დედამ — ეკატერინე ჭავჭავაძემ შვილებითურთ ბინა პეტერბურგში დაიდო, იგი პაჟთა კორპუსში სწავლობდა.

სამხედრო მოღვაწეობა ანდრია დადიანმა ცარსკოე სელოში, ჰუსართა პოლკში დაიწყო, მაგრამ ხშირად პეტერბურგში გახლდათ. აქ მუდამ ჰყავდა პარტნიორები ჭადრაკში. გამოჩენილი ორიენტალისტი, პროფესორი ა. ცაგარელი იხსენებს, რომ ერთხელ, ერთ-ერთ ოჯახში იგი დაესწრო ანდრია დადიანის „თვალხუჭულა“ ერთდროული თამაშის სეანსს. პროფესორი სიამაყით დასძენს, რომ მისმა თანამემამულემ ყველა მეტოქე დაამარცხა.

ამ დროს ანდრია დადიანი საქართველოშიც ჩამოდიოდა. ცნობილი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ჟურნალ „შახმატნი ლისტოკის“ 1878 წლის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ, რომ თბილისში ანდრია მატჩში შეხვდა უძლიერეს თბილისელ მოჭადრაკეს ა. სმიტენს და სძლია მას.

ანდრია დადიანს უყვარდა სტუმრობა ქუთაისში, სადაც მასპინძლად ბიძამისი გენერალი გრიგოლ დადიანი ჰყავდა. გრიგოლი ლექსებს წერდა

# წვრილ-წვრილი ამბები

## ახალი ტექნოლოგია

კუიბიშევის თევზის გადამამუშავებელი ქარხნის სპეციალისტებმა შეიმუშავეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა კვამლის გარეშე მივიღოთ შებოლილი თევზი და შებოლილი ხორცი.

დეგუსტატორებმა მაღალი შეფასება მისცეს ახალი მეთოდით დამზადებულ პროდუქციას.

შებოლილი თევზის მისაღებად ახლა 100 საათის ნაცვლად საჭიროა 11-20 საათი.

## ოქროს მონეტები

ამას წინათ თურქმენეთის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში ხვნის დროს წააწყდნენ მოზრდილ ქოთანს, რომელიც ოქროს მონეტებით იყო სავსე.

ოქროს წონა 4 კილოგრამი და 800 გრამი იყო.

მოხუცების გადმოცემით, ამ ადგილებში წინათ მდიდარი იუველირი ცხოვრობდა. ეს ოქროს მონეტები შეიძლება სწორედ მან ჩაფლა მიწაში.

## ტურისტული კომპლექსი

მოძმე ყაზახეთში, ალმა-ათის მახლობლად ეწყობა ტურისტული კომპლექსი „ყაზახური აული“.

ჩვეულებრივი კოტეჯების ნაცვლად აქ ჩამწკრივდება ეგზოტიკური ნაციონალური ნაგებობები, რომლებიც ხალიჩებით იქნება მოფენილი.

„აულში“ მოეწყობა ბასეინი, საგამოფენო დარბაზი, გამოცდილი მზარეულები სტუმრებისათვის დაამზადებენ ნაციონალურ კერძებს.

## ძლიერებისა და ძალაუფლების სიმბოლო

ამას წინათ სამარყანდის მახლობლად მოსწავლეებმა იპოვეს ორკუზიანი აქლემის მსგავსი ცხოველის სტატუა.

ნაპოვნმა დიდი ინტერესი გამოიწვია. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს სტატუა V-VI საუკუნეებს განეკუთვნება.

მრავალი საუკუნის წინათ შუა აზიაში მცხოვრებ ხალხებს აქლემი ძლიერებისა და ძალაუფლების სიმბოლოდ მიაჩნდათ.

## ორი სამკერდე ნიშანი

ზაპოლიარიის ქალაქ იგარკში მცხოვრებ დენის ვოზნიუკს, ამას წინათ გადაეცა სამკერდე ნიშანი „სსრ კავშირის ალპინისტი“.

მას მიღებული აქვს აგრეთვე მეორე სამკერდე ნიშანი „სსრ კავშირის ტურისტი“.

დენის ვოზნიუკი სამი წლის ასაკიდან მისდევს სათხილამურო სპორტს, მონაწილეობას იღებს ტურისტულ ლაშქრობებსა და ალპინისტურ სვლებში.

იგი ამჟამად... 10 წლისაა.

## უცნაური მგზავრები

ასეთი მგზავრები ალბათ პირველად ისხდნენ თვითმფრინავში.

ხარკოვის ოლქიდან ტყის წითური ჭიანჭველები საგანგებო კონტეინერში მოათავსეს, თვითმფრინავში ჩატვირთეს და კავკასიონის მინერალური წყლების რაიონში ჩაიყვანეს.

ახალ სამყოფელოში წითური ჭიანჭველები საიმედოდ დაიცავენ ტყის მასივებს სხვადასხვა მავნე მწერებისაგან.

## ახალი საბადო

ორენბურგის ოლქში გეოლოგებმა აღმოაჩინეს მარმარილოს მდიდარი საბადო.

მარმარილოს აქვს ყვითელი, ღია-ნაცრისფერი და თეთრი ფერი.

ახლად აღმოჩენილ მაღალი ხარისხის მარმარილოს მალე გამოიყენებენ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მშენებლობებზე.

(ლიტერატურაში ცნობილია კოლხიდელის სახელით) და ძალიან უყვარდა ჭადრაკი. მის სახლში, რომელიც ახლაცაა ქუთაისში (ბალახვანში), იკრიბებოდა ხოლმე პოეზიისა და ბრძენთა თამაშის მოყვარული საზოგადოება. ამ საღამოებში ანდრია დადიანსაც მიუღია მონაწილეობა. აქ შეხვედრია იმდროინდელ მოჭადრაკეებს თავადის ქალს სოფელ დენჩიდან ფოტინე ჩიქოვან-ასათიანს, გამოჩენილ პოეტს მამია გურიელს, რომელთანაც ნათამაშები პარტია საგანგებო რვეულში ჩაუწერია, ქუთაისი-ონის შარაგზის გამყვანს ინჟინერ გ. ბებურიშვილს და ბევრ სხვას.

აი, სწორედ ამ პერიოდში უნდა იყოს გადაღებული ეს ფოტო ქუთაისში ა. მიხაილოვისა და მ. კაჩუხოვის ფოტოატელიეში. როგორც ხედავთ, ანდრია ჰუსარის პოლკის ოფიცრის საპარადო ფორმაშია გამოწყობილი.

ეს სურათი უნიკალურია. მას ადრე არ შევხვედრივართ, საოცარია, რომ ჟამთასვლას მისთვის ვერაფერი დაუკლია, ისე კარგადაა შენახული.

ბუნებრივია კითხვა: სად ინახებოდა ეს ფოტო, საიდან მოვიდა ჩვენთან? იგი გადმოგვცა საქართველოს სსრ დამსახურებულმა აგრონომმა მიხეილ საკანდელიძემ, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს.

— ეს სურათი ინახებოდა ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანაში ჩემი ახლობლის ანდრია გელოვანის ოჯახში, — გვიამბობს ბატონი მიხეილი, — მისი მეუღლე დადიანების უახლოესი ნათესავი იყო და სურათიც მათ უჩუქებიათ. ანდრიამ შესანიშნავი შვილები აღზარდა, მაგრამ ჭადრაკთან მათი სიახლოვისა არაფერი მსმენია. წაკითხული მქონდა თქვენი წიგნი „თამაშობს ანდრია დადიანი“ და მასში ეს ფოტო რომ არ იყო, საჭიროდ ჩავთვალე, იგი თქვენთვის მომეწოდებინა.

აი, ასეთია სასიქადულო ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის ახალგაზრდობის დროინდელი ფოტოსურათის ბედი.

**თენგიზ გიორგაძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის ისტორიაში 1957 წლის 29 დეკემბერი ღირსშესანიშნავი თარიღია. ამ დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნიდან პირველი ქართული ელმავალი „ვლ-8“ გამოვიდა.

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. ამ პერიოდში ქარხნის კოლექტივმა არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა ჩვენი ქვეყნის ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარების ისტორიაში.

ბევრი, ძალზე ბევრი რამ აქვთ საამაყო და მოსაგონარი ქართველ ელმავალმშენებლებს.

— ოცდახუთიოდე წლის წინათ აქ ქვა-ღორღისა და წუმპეების მეტს ვერაფერს ნახავდით. დანგრეულ, ოღრო-ჩოღრო გზებზე მანქანა კვირაში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა, — იგონებენ ძველი ელმავალმშენებლები.

ახლა ნახეთ ეს ლარივით გაჭიმული გამზირები, მწვანეში ჩაფლული ბაღები და სკვერები, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კვარტალები; იზრდება, შენდება და მშვენდება თბილისის ერთ დროს მიყრუებული გარეუბანი „ავი ჭალა“.

თურმე რა არ შესძლებია ადამიანის ხელს!

ავჭალის გზატკეცილს ქარხანასთან მივყავართ.

ჭეშმარიტად სამართლიანად მოითხოვენ წარმოების ვეტერანები „ელმავალმშენებლის გამზირი“ ეწოდოს ლენინის რაიონის დედაქუჩას. მისი სიამაყეა საწარმო, სადაც აშენებენ მძლავრ მაგისტრალურ და კოქსმქრობ ელმავლებს, ელექტრულ „მტვირთავებს“ — შტაბელერებს, წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს, ეძიებენ, ფიქრობენ, აზროვნებენ, ქმნიან ახალს, ელმავალმშენებლები ამაყობენ, რომ აკისრიათ ფრიად საპატიო

**თენგიზ პირველი**

# გადარჩება?

იუმორისტული მოთხრობა

ლალით, საფირონითა და მურაზით მოზარნაშებულ გრძელ მაგიდას უსხდნენ უზენაესთა საბჭოს უხუცესი წევრები: წმინდა იორდანე, წმინდა იოვანე, მარკოზ აღმასრულებელი, წყალობა მწყალობელი, საბა მგალობელი, იაკობ ნათლისმცემელი, უწმინდესი და უნეტარესი ლუკა მირონმცხებელი, წინასწარმეტყველი მიქვასი და უზენაესთა საბჭოს წევრად ახლად არჩეული ანტიოქიის მთავარი ეპისკოპოსი სტრატონიკე მესამე.

სათათბირო ხმის უფლებით მეორე რიგში ისხდნენ: ლუხის მიტროპოლიტი ისიხი, სრულიად ამბიონის ეგზარხოსი ნეოფიტე მე-27-ე, ასინკრიტე კვიპროსელი, ადამის ყოფილი მეუღლე, უზენაესთა საბჭოს მუდმივი სწავლული მდივანი ქალბატონი ევა შლუხტერი და სხვები.

დღის წესრიგში იდგა ბახუსის უზომოდ მოყვარულთა საახალწლოდ საიქიოში გამგზავრების საკითხი.

კუთხეში მიგდებულ პროკრუსტეს მინჯღრეულ სარეცელზე განმარტოებით მიყუჟულიყო მიქელ გაბრიელი და გამალებით ლესავდა ცელს.

სამარისებური სიჩუმე მამაზეციერმა დაარღვია. ევას მამაშვილურად გახედა და ღვთაებრივი ხმით ჰკითხა:

— სად არიან, შვილო, საიქიოში უდროოდ გასამგზავრებელი ლოთები?

— მოსაცდელში გელიან, უფალო!

— რომელი ქვეყნიდან არიან უგუნურნი შვილნი ჩემნი იმა ქვეყნისანნი? — დაინტერესდა მამაზეციერი.

ევამ ლოთების დისლოკაციას დახედა, ლეღვის ფოთოლი შეისწორა და სხაპასხუპით მიაყარა:

— საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ბიზანტიიდან, შოტლანდიიდან, ურუგვაიდან, პარაგვაიდან, თრაკიიდან, დანიიდან, იბერიიდან...

— იბერიიდან?! — ღმერთმა ხელის აწევით შეაჩერა ევა. წმინდა იორდანესკენ გადაიხარა და ღიმილით აუწყა, — ეს ის წალკოტად ქცეული ქვეყანაა, მე რომ ბასკონიელ სტრატონიკე მესამეს ბილიარდში მოვუგე, ქართველებს ვუფეშქაშე და ზედ მარადისობის სიკეთის კალთა გადავაბერტყე!

— ვიცნობ მაგ მხარეს, უფალო, საქართველოში ჯეელობაში ოთხჯერ ვყოფილვარ. ჭოპორტული პამიდვრის, კახური ღვინის, იმერული კვაწარახისა და ბოლნისური სტაფილოს გემო ახლაც პირში მაქვს.

— იბერიელი მიხმეთ! — გასცა განკარგულება სახეგაბადრულმა უფალმა.

— იბერიელს, ალბათ, შეაგვიანდება, — შურით წარმოსთქვა ევამ, — ედემის ბაღში ჩამოხტა და ნოეს საჭაშნიკეში ახლად დაქვრივებულ ფოფოდია კლარა ვაგნერთან ერთად აჯაფსანდალს მიირთმევს.

ღმერთი წამით ჩაფიქრდა, მერე გაოცებით იკითხა:

— ქართველებმა პირის პატივი და ნუგბარი კერძების ყადრი იციან. რაშია საქმე, დღეს მარხვა ხომ არ არის?

— დღეს ხუთშაბათია, აჯაფსანდლის დღე გახლავთ, უფალო. ხვალიდან იწყება მუჟუჟის, ჩანახის, ჩაქაფულის, ჩობან-ყაურმის, ესკალოპისა და კოკოვენის კვირეული.

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა ევა, მაგრამ მოულოდნელად ბადაგივით ტკბილი, გულში ჩამწვდომი სიმღერა მოისმა: „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო, უშენოდ სიცოცხლეც არ მინდა“.

ამ ჯადოსნურმა ჰანგმა ყველა ჩააფიქრა, პირქუშ პილატეს ცრემლები გადმოსცვივდა, მამა აბრამს ხელიდან ბატკანი გაუვარდა და თემიდას სასწორზე დაეცა.

კარი გაიღო და ჯინსებში გამოწყობილი ასე 35-40 წელს მიტანებული ლოთობისაგან სახეშეშუპებული სიმპატიური გარეგნობის იბერიელი შემოვიდა. დამსწრეთ მდაბლად დაუკრა თავი, ევას პერსონალურად გაუღიმა, ლეღვის ფოთოლს დააშტერდა,

# ქართული ელმავალი

მისია — იყვნენ ახალი ცხოვრების, ახალი დროის მშენებლები, დიდი ეპოქალური ძვრების მოწმე და მონაწილე.

არსებითად შეიცვალა ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის სახე ამ ოცი წლის მანძილზე.

**1968** წლიდან, როცა ნათელი გახდა, რომ „ვლ-8" ელმავალმა თავისი საქმე გააკეთა, საწარმო გადავიდა საკუთარი სპეციალისტების მიერ შექმნილ თანამედროვე კონსტრუქციის მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების „ვლ-10"-ის სერიულ წარმოებაზე, რომელიც 25 პროცენტით უფრო მძლავრი და სწრაფი იყო თავის წინამორბედზე და მაქსიმალურად უნიფიცირებული ნაწილები და კვანძები ჰქონდა.

**1970-71** წლებში აითვისეს კოკსმქრობი სამრეწველო ელმავლები „ეკ-13".

**1972** წლიდან ტვირთამწე ელექტროშტაბელერებს უშვებენ. მალე კონსტრუქტორებმა დაამუშავეს ახალი სამრეწველო ელმავლების „ეკ-14"-ის გაუმჯობესებული სახე.

გავიდა დრო და ქარხნის უპირველეს და უდიდეს უბანზე — ამწყობ საამქროში მოვიდნენ ქარხნის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინრები. აქ, ამ საამქროში ედგმება სული ქართულ ელმავალს, აქ იყრის თავს ყველა კვანძი და დეტალი, რაც დანარჩენ თექვსმეტ საამქროში მზადდება. აქედან გააცილეს ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე პირველი ელმავალი.

დღეს კი სერიული წარმოების ათვისების პროცესშია კიდევ უფრო სრულყოფილი ელმავალი „ვლ-11".

„არ არსებობს ინჟინერი შექსპირის გარეშე", — ამბობდა გამოჩენილი რუსი ინჟინერი შუხოვი.

დღეს ინჟინერს უნდა ჰქონდეს მრავალმხრივი განათლება და ცოდნა. ცხოვრება განუწყვეტლივ თხოულობს ახალს; მისი აღმოჩენა კი იოლი როდია. იმისათვის, რომ შექმნა ახალი, შენს დარგში თვალსაჩინო, ცოტაა იცოდე მხოლოდ შენი პროფესია; უნდა გქონდეს ფართო განათლება.

ელმავალმშენებელთა საკონსტრუქტორო ბიუროს „ქარხნის ტვინს" უწოდებენ. მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სიყვარულის, თეთრად გათენებული ღამეების, ინჟინრული ცოდნისა და გაქანების ნაყოფია დღევანდელი ელმავლები, რომელთა სახელი უკვე ცნობილი გახდა ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა კარგა ხანია მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო გამოფენაში. მისი პროდუქცია იყიდება არა მარტო სოციალისტურ, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

წარმოება ურთულესი ორგანიზაციაა. იგი სახელმწიფოს არსებობისა და სიმძლავრის წარმმართველი ორგანიზმია. როდესაც მის ჰარმონიულ და რიტმულ მუშაობაზეა საუბარი, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ყველა რგოლი იყოს ცოცხალი უჯრედი, ინტენსიურად და ზუსტად რომ ასრულებს თავის ფუნქციებს. საწარმოს მაღალმწარმოებლური მუშაობა ბევრადაა დამოკიდებული კარგ ორგანიზატორ-ხელმძღვანელზე, რომელიც თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა ტექნიკური და ეკონომიკური ცოდნის ღრმა გაგებით და, რაც მთავარია, რომელსაც გააჩნია მუშა-პერსონალთან პრინციპული, დამაჯერებელი, მეთოდური, სრულყოფილი მიდგომის უნარი.

ქართველ ელმავალმშენებლებს დღეს სათავეში გაერთიანება „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი ზურაბ ჩივაძე უდგას. ამ ადამიანის მიერ განვლილი გზა ტყუპის ცალივით ჰგავს მისი სახელოვანი კოლეგების ცხოვრებას. **1954** წელს დაამთავრა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ელექტრული ტრანსპორტის ფაკულტეტი. იგი 20 წლის წინ მოვიდა ქარხანაში. იყო საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ინჟინერი, ელმავლის საკვლევი განყოფილების უფროსი, ამწყობი საამქროს უფროსი, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე, ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე წარმოების დარგში, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ინჟინერი, ქარხნის მთავარი ინჟინერი, **1975** წელს სტალინის სახელობის თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსად გადაიყვანეს. **1976** წლის აგვისტოდან კი ისევ მშობლიურ საწარმოს დაუბრუნდა.

რიგითი ინჟინრიდან — გენერალურ დირექტორობამდე! ეს არის საბჭოთა სპეციალისტის, ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქის დამსახურებული გზა. დირექტორი ღირსეული ხელმძღვანელია საწარმოსი, რომელიც სათავე ქარხნის გარდა, აერთიანებს ორ ქარხანა „ელექტროძრავას" — თბილისსა და ახალციხეში, სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროსა და დუშეთის ფილიალს.

გაერთიანება ამაყობს თავისი გამოზრდილი დირექტორით, ვისი ცხოვრებაც მჭიდროდ და სამუდამოდ დაუკავშირდა საქართველოში რკინისგზის ტრანსპორტის აკვანს.

სასახელოა ელმავალმშენებელთა მდიდარი ტრადიციები, რომლებიც თაობიდან თაობებს ყოველთვის აძლევდა საზრდოს შემოქმედებითი შრომისათვის, სიახლეთა დანერგვისათვის, ინიციატივისა და თავდადებისათვის.

მხრებს შლის რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის პირმშო. უკვე ოცი წელია იგი აშენებს თანამედროვე მძლავრ ლოკომოტივებს. დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს ნებისმიერ კუთხეში შეხვდებით ელმავლებს, რომელთა ფოლადის მკერდს ოთხი ასო „თ ე მ ქ" ამშვენებს.

**ლამარა თელია**

---

თვალი ჩაუკრა, გულზე ხელი დაიდო და უფლის წინაშე თავი დახარა.

უფალმა თავით ფეხებამდე შეათვალიერა იბერიელი და მხრების აწურვით შეეკითხა:

— ასე ძალიან თუ გიყვარს საქართველო, საახალწლოდ საიქიოში რად მიიჩქარი?! ზომიერად გესვა ღვინო და სულ ცოტა, 85 წელს იცოცხლებდი!

— ზომიერად თორემ, ეგეც სულ ნოეს დაწურული ყურძნის სუფთა წვენს მიირთმევდა! — გაწიწმატებით შეჰყვირა ყოვლადუწმინდესმა და უნეტარესმა ასინკრიტე კვიპროსელმა.

— როგორ? — გაოცდა უფალი, — განა ქართველებმაც ისწავლეს შაქარზე ღვინის დაყენების ტექნოლოგია?!

— ისწავლეს, უფალო, ისწავლეს! — ბოღმით წამოიძახა სტრატონიკე მესამემ, ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და რისხვით დაიწყო:

— წყეულიმც იყოს, აწ და მარადის, უკუნისიდან უკუნისამდე მისი სახელი და სახსენებელი, ვინც დღეის ამის იქით შაქარი ჰაჰას დააყაროს!

—ამინ! — გაისმა დარბაზში.

— ვაზი გაუხმეს და არტანუჯის საყდარივით გადაებუგოს ვენახი, გვალვა და სეტყვა, ხოშკაკალა, ყინვა და მეწყერი არ დაელიოს მის დედულმამულს, ვინც ხელი აღაპყროს და შებღალოს ქართული ღვინის ღირსება!

—ამინ! — გუგუნებდა დარბაზი.

— ტყუილად ირჯები, მამაო სტრატონიკე, ეგ ღაღადისი ამაოდ დარჩება უდაბნოსა შინა. ვინაა ამ ამბის წამღები იბერიაში?! — გულდაწყვეტით წარმოთქვა წინასწარმეტყველმა მიქვასმა და ურწმუნო თომას მრავალმნიშვნელოვნად გახედა.

— მე წავიღებ! — გაისმა დარბაზში იბერიელის ომახიანი შეძახილი.

მამაზეციერი ჩაფიქრდა, მუხლებზე დაყრდნობილი იბერიელი კიდევ ერთხელ ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა და სტრატონიკე მესამეს თვალებში გამომწვევად მიაშტერდა.

ანტიოქიის მთავარმა ეპისკოპოსმა სტრატონიკე მესამემ თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა, სავარძლიდან დინჯად წამოდგა, სკიპტრა ზეცისაკენ აღმართა, მამაზეციერის წინაშე ქედი მოიხარა და დაიწყო:

— მას შემდეგ, რაც სამყარო შექმენი და დედამიწაზე სიცოცხლე გააჩინე, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა საიქიოდან სააქაოში დაგებრუნებინოს ვინმე. ყოვლად შემძლეო მამაო უფალო, ჰქმენ გამონაკლისი და ეს ლოთობისაგან გზასაცდენილი იბერიელი ისევ დააბრუნე ქვეყანასა ზედა. თავდებად მე ვუდგები!

უფალმა მიქელ გაბრიელის ბოროტ გამოხედვას შეავლო თვალი და თითის დაქნევით აუწყა:

— იბერიაში აღარ განახო ჩასული, ისედაც ცოტანი არიან, აცალე ქართველებს გამრავლება! — მერე იბერიელს მიუბრუნდა და ღვთიური ხმით უთხრა:

— დასტური მითქვამს: დაე, აღსრულდეს თხოვნა სტრატონიკე მესამისა. იჯმენ, შვილო ჩემო, საიქიოდან და სააქაოში აღზდექ მკვდრეთით! — ბოლო სიტყვები ზეაწეული ტონით წარმოსთქვა უფალმა, ხელი კუთხეში მიდგმულ ღვინით სავსე ვეება კასრისაკენ გაიშვირა და სახეგაფითრებულ იბერიელს მიმართა:

— მჯერა, დღეიდან გამოსწორდები და ღვინოს ზომიერად დალევ, მიდი, შვილო, ნოეს დაწურულ ღვინოს ჰაშნიკი გაუსინჯე და საიქიოდან საქართველოში შენი გამგზავრების სადღეგრძელო დალიე!

სახეგაბადრული იბერიელი ჯიქურ მიიჭრა კასრთან, ხონჩაზე ჩამწკრივებულ ღვინის პატარა ჰიქებს თვალი აარიდა, თახჩაში გაწყობილი უამრავი ლამფის შუშიდან ყველაზე დიდს დასტაცა ხელი, ღვინით პირთამდე გაავსო და სულმოუთქმელად დალია, მერე ერთმანეთის მიყოლებით ზედიზედ გადახუხა მშობლების, ცოლშვილის, დედმამიშვილის, საქართველოს, მეზობლების, ძმაკაცების, წინაპრების, ლამაზი და ტანწერწეტა ქალების, ანტიოპიის მთავარი ეპისკოპოსის სტრატონიკე მესამისა და ქალბატონ ევა შლუხტერის პერსონალური სადღეგრძელოები.

ბახუსმორეული იბერიელი ლასლასით მიუხლოვდა ევას, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა და ის იყო,

# „სიჭაბუკის განთიადები“

ეს პატარა წერილი, ცხადია, მიზნად არ ისახავს ამომწურავად გააშუქოს და გააანალიზოს ცნობილი ქართველი პოეტის ხუტა ბერულავას მთელი შემოქმედება. მისი დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ დაინტერესებული მკითხველის ყურადღება ერთხელ კიდევ გაამახვილოს ჩვენი დღევანდელი დღის იმ ღრმა და ნათელ პოეტურ აღქმაზე, რომელიც ასე ნიშანდობლივია ხუტა ბერულავას შემოქმედებისათვის.

რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ ერთ-ერთ კრებულში ხუტა ბერულავამ ასეთი მრავლისმეტყველი შეკითხვით მიმართა თავის პირველ ლექსს: „ლექსო პირველო, დამიდასტურე, ნუთუ შენ უკვე ოცი წლისა ხარ?“

დაბერდა თუ არა პოეტის ლექსი? მინელდა თუ არა მისი სიტყვის ჭაბუკური ცეცხლი და მგზნებარება? აი, ამ შეკითხვაზე ზუსტი და ამომწურავი პასუხის გაცემა მხოლოდ ხუტა ბერულავას ახლად გამოსულ ლექსების კრებულს შეეძლო.

ეს ახალი კრებული, ისევე როგორც ხუტა ბერულავას პირველი ლექსი, დღესაც ახალგაზრდული ცეცხლითა და მგზნებარებით, უბერებელი შემართებითა და პათოსით არის აღვსილი.

დიახ, ჟამთა სვლამ შუახანს მიტანებულ პოეტს მეტი გამოცდილება და ცოდნა შესძინა, მის პოეტურ სიტყვას მეტი ფხა, ძალა და ოსტატობა შემატა; გული, უბერებელი გული, ახალგაზრდული ცეცხლი და მგზნებარება კი ისევ ძველებური შეუნარჩუნა მას.

ტყუილად როდი ამბობს ხუტა ბერულავა: „არა და არა, მე სიჭაბუკე სადღაც წლებს იქით როდი დავტოვე, ახლაც გაზაფხულის და სიყრმის კილოზე ვმღერი, ისეთი შუქი მიმილია, რომ ბოლო დღემდე თავს დამიკრავენ სიჭაბუკის განთიადები“.

დღევანდელ დღეთა მსვლელობას სწორედ ასეთი „სიჭაბუკის განთიადებით“ ეგებება ხუტა ბერულავა. იგი მისთვის დამახასიათებელი სიღრმით, ყოველგვარი ყალბი პათოსისა და პათეტიკის გარეშე, ხელოვნური, ჩამტკბარ-შელამაზებული ფრაზების გვერდის ავლით ეხმიანება ჩვენს თანამედროვეობას.

პოეტი-მოქალაქე, თავისი ქვეყნის გულმართალი შვილი ყოველთვის ხალხის სამსახურში დგას. მთელ თავის ნიჭს, უნარს, ახალგაზრდულ მგზნებარებას, პოეტურ ფრთიან სიტყვას ცხოვრების მიერ წამოყენებულ ახალ პრობლემებს, მშრომელი ხალხის ჭირისა და ლხინის სამსახურს ახმარს.

გამრჯე ქართველ მევენახეებს რამდენჯერმე ლამის იყო წყალში ჩაეყარათ მთელი წლის თავდადებული შრომა: ხოშკაკალა სეტყვამ შეუბრალებლად დააზიანა სიმწიფეში შესული ზვრები.

ხალხის გულისტკივილი პოეტის გულისტკივილია! ამ გულისტკივილის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა ხუტა ბერულავას ლექსი „ხალხის კეთილი ძახილი“. ჩვენი დღევანდელი ყოფის ამ მხატვრული ოსტატობით ასახულ ლექსში მკაფიოდ ვლინდება არა მარტო სეტყვით გამოწვეული საერთო-სახალხო წუხილი, არამედ ჩვენი ძლიერებაც. ხალხს, მის კოლექტიურ შრომას სტიქიურ უბედურებასთან მედგარი ბრძოლაც ძალუძს. თავდადებული შრომა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ბოლოს მაინც სძლევს ბუნების ჭირვეულობას და ეს ბრძოლაც გამარჯვებით გვირგვინდება.

„ოდა შეჯიბრებას“, „მხოლოდ სიმღერა“ და სხვა მრავალი ლექსი ასეთივე ღრმა თანამედროვე ჟღერადობით არის გამსჭვალული.

პატრიოტიზმი, სოციალისტური შეჯიბრების სიკეთე, შრომის მადლი, ძმობა და მეგობრობა პოეტის ლექსების განუყოფელ კომპონენტებად გადაქცეულან.

ქართულმა ჩაიმ შორს გაიყოლია ჩვენი რესპუბლიკის სახელი. ლექსი „ქართველ მეჩაიეებზე“ გაზრებულია არა როგორც დიდაქტიკური შეგონება; პოეტი ლექსში მოხერხებულად, მხატვრულ ფორმებში ოსტატურად უყრის თავს ყოველივე იმას, რაც თითოეულმა მეჩაიემაც იცის: „ვიცი, წამითაც არ გავიწყდებათ, ბუნების წესი უცვლელი ძველი, რომ გაზაფხული მაშინ იწყება, როდესაც სოფლად მთავრდება რთველი“.

ხუტა ბერულავას თანამედროვე თემებზე დაწერილ ლექსებში შრომისადმი სიყვარული გაჯერებულია მდიდარი გამომსახველობით, რაც მთავარია, იდეისა და ფორმის ორიგინალური შერწყმით. სიმართლე, სიღრმე, შინაგანი სითბო, აზრის, გრძნობისა და ფიქრის განცდა მთლიანობაში აღიქმება, ახალ იერს, ახალ ჟღერადობას იძენს.

პოეტი მზად არის ყოველთვის იდგეს იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, სადაც ხალხი და გული უხმობს. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თანამედროვე მჩქეფარე ცხოვრება ახალი, უბერებელი ლექსების შექმნისაკენ უხმობს მას.

ეს ლექსები ადამიანის სულიერი სისპეტაკის, სიმართლის, პატიოსნებისა თუ შრომისადმი უანგარო სიყვარულის გრძნობებს ემსახურებიან, მეტ რწმენასა და შემართებას უღვივებენ მკითხველებს.

**ბორის მირცხულავა,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი.

ლელვის ფოთოლს წაატანა ხელი, ფეხი აუცდა, უმწეოდ გაასავსავა ხელები, რუმბივით დაასკდა ფილაქანს და საზარელი ხმით ამოიგმინა.

...საავადმყოფოს პალატაში, სარეცელზე გაშოტილ ავადმყოფს, რომელიც უმწეოდ ასავსავებდა ხელებს და საზარელი ხმით გმინავდა, მთავარი ექიმი წამოადგა თავზე და სიხარულით შეჰყვირა:

— შოკიდან გამოდის!.

მერე საწოლთან ატუზულ თეთრხალათიან ექიმებს გადახედა, ცისფერი შინიონი შეისწორა და დინჯად წარმოთქვა:

— ჩქარა, ჩქარა, რაღას უდგეხართ, საცაა ახალი წელი გათენდება, სასწრაფოდ კუჭი ამოურეცხეთ, იქნებ, როგორმე გადავარჩინოთ ეს ლოთბაზარა!

შოკიდან და რელიგიური სიზმრებიდან გამოსული ახლად გაღვიძებული ლოთბაზარას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა; გადარჩებოდა თუ არა მხოლოდ მიქელ გაბრიელმა, ანტიოქიის მთავარმა ეპისკოპოსმა სტრატონიკე მესამემ და ყოვლისშემძლე მამაზეციერმა უწყოდა.

# „სიყრმის მეგობრები“

კ. გოგიაშვილი

ფელეტონი

ბავშვობაში ერთად რბოდნენ ჭუჭულა და ზალიკო;
იმათთანა ბედნიერი ქვეყნად არვინ არ იყო!
ბანაობდნენ, თევზაობდნენ, აჭყვებოდნენ ლელიანს,
ლახტის შემდეგ დასძახებდნენ „ოდელია-დელიას“.
დროსტარება მოგონებად მთელ სიცოცხლეს გეყოფა,
ახლაც ასე ეძახოდნენ ამ ორ სიყრმის მეგობარს.
ერთად სწავლა, ერთად გავლა, ნადირობა, თამაში,
დღე და ღამე ხის ძირს ყოფნა ლამაზ პურისჭამაში.
ვაუკაცურად შეასრულეს რაც თავიდან დათქმულა,
მეგობრობა უკეთესი ზღაპარშიაც არ თქმულა!
გზაზე შეხვდნენ, მოიგონეს წყალწითელას დაშრობა,
ერთმა უთხრა: გთხოვთ მეწვიოთ, გავიხსენოთ ბავშვობა.
დატრიალდა მასპინძელი, შეარჩია ადგილი,
მოამზადა მჭადი, კიტრი, ხაზაფხულო სადილი;
თევზი, მწვადი, ნადუღი თუ ჭყინტი ყველი, მწვანილი,
ყველი იყო — კრაჭუნებდა, ქორფად ამოყვანილი.
ცივი ღვინო, ლიმონათი, ხაჭაპური, წიწილი;
და უეცრად შემოესმა სანატრელი სიცილი:
— გამარჯობა!
—გაგიმარჯოს!
— როგორა ხარ, რას შვრები?!..
— რა იქნება ახლა ვიყოთ ის პატარა ბავშვები?! —
ხვევნა, კოცნა, მოგონება...
— ვხედავ კი ხარ კარგადო!
მეზობელსა დაუძახე, ჩასუქებულ ვატატოს!
ნარდის თამაშს შეუდგნენ, და...
— ეს რა ღმერთი გამიწყრა,
ცუდადა ვარ... თავი მტკივა... აღარ, აღარ დამიცხრა.
ხელად წნევა გაისინჯა — ორასი მაქვს — ას ათზე,
თავბრუს ხვევა, გულის რევა, ლამისაა გავთავდე...
— ვიღუპებით! — თქვა ჭუჭულამ.
— კვდება! — წაცდა ზალიკოს...
გავიხედე, აღარ ჩანდნენ, ორივე გამქრალიყო!
რა ვიცოდი, თუ კაცებად უკვე აღარ ვარგოდნენ,
აივნიდან გავიხედე, თაგვებივით გარბოდნენ!
სამარცხვინო საქციელად მგონი, კმარა მარტო ეს,
მომეხმარნენ კი არადა, მომაკვდავი დამტოვეს!
სასწრაფოს გამოუძახა მეზობელმა ბუნჩულამ,
დამეხმარა... დამავიწყა ზალიკოც და ჭუჭულაც.
მომაბრუნეს... მომარჩინეს... გავახილე თვალები,
თავზე მადგნენ თეთრ ხალათში მოქათქათე ქალები
ცოლმა ვეღარ მოითმინა, ვატოს წაუჩურჩულა:
—ესეც „სიყრმის მეგობრები“ ზალიკო და ჭუჭულა.

ერთგულებას გეფიცება ლხინში ზოგი ძმობილი,
ჭირში მისი „ძმაკაცობა“ მალე ხდება ცნობილი!

# სიკეთის წყარო

ოქროყანაში, მეფუტკრეობის რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში სამი ოქროს მედალი ინახება. გაერთიანების გენერალური დირექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონდო ობოლაძე განმარტავს:

— ესენი რუხი ქართული მთის ფუტკრის მონაპოვარია. პირველი ოქროს მედალი ქართულმა ფუტკარმა 1961 წელს მოიპოვა, ქალაქ ერფრუტში (გერმანია) მოწყობილ მებაღეობის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც გაგზავნილი იყო ჩხოროწყუს სანაშენე მეურნეობიდან მეგრული პოპულაციის ორი ოჯახი. გამოფენის მუშაობის პერიოდში მათ ას კილოგრამამდე თაფლი შეაგროვეს, ორ-სამჯერ მეტი, ვიდრე ფუტკრის სხვა ჯიშებმა.

ქართულმა ფუტკარმა მეორე ოქროს მედალი 1965 წელს ბუქარესტში მეფუტკრეთა მეოცე საიუბილეო კონგრესზე დაიმსახურა, ხოლო მესამე — მეფუტკრეთა მოსკოვის ბოლო კონგრესზე. ქართულმა ფუტკარმა სამჯერ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებზე და სამივეჯერ გამარჯვება მოიპოვა. იგი მსოფლიოში სამი ოქროს მედლის მფლობელია.

რუხ ქართულ მთის ფუტკარს თავისი სიკეთით და თვისებებით ბადალი არა ჰყავს. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში იგი ასეა დახასიათებული: ყველაზე დიდია ხორთუმით, ყრა ნაკლებად იცის, უჭირვეულოა.

თუ გსურთ რუხი ქართული მთის ფუტკრის ყველა სიკეთეს გაეცნოთ, ჩხოროწყუს სახელმწიფო ფუტკარსანაშენე მეურნეობას უნდა ესტუმროთ. ფუტკრის მოშენება-მომრავლებისათვის აქ საუკეთესო პირობებია შექმნილი. მიდამო ზღაპრულ წალკოტს გავს, გარშემო ამაყად წამომართულა ფოთლოვანი ტყე, რომელსაც წიწვიანი ცვლის. ათასგვარი ყვავილი დამატკბობელ სურნელებას აფრქვევს. აქ სანაშენეს შექმნა იმანაც განაპირობა, რომ სამეგრელოს ამ ნაწილში ფუტკრის ეს ძვირფასი ჯიში სუფთა სახით არის შემორჩენილი.

სამ ათეულამდე წელია ჩხოროწყუს ფუტკარსაშენს სათავეში უდგას უნარიანი ზოოტექნიკოსი, თავისი საქმის დიდი პატრიოტი იროდი თოლორდავა. მას დიდი მოვალეობა აკისრია, ფუტკარსაშენი ორჯონიკიძის ფუტკარსაშენე მეურნეობასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში ქართული მთის რუხი ფუტკრის ერთ-ერთი ექსპორტიორია.

თოლორდავას კაბინეტში ჰკიდია რუკა; მასზე წითლად არის შემოხაზული ქართული ფუტკრის მისამართები; იგი მსოფლიოს 47 ქვეყნის მკვიდრია. საზღვარგარეთ ყოველწლიურად 8-9 ათასი დედაფუტკარი იგზავნება. მას სამყაროს კეთილი ელჩები შეარქვეს. ქართული ფუტკრის ტრადიციული შემსყიდველები არიან ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბრაზილია, საფრანგეთი, იაპონია, შვეიცარია, ბულგარეთი, ავსტრალია, ინდონეზია და სხვ.

ერთ-ერთი მსხვილი ამერიკელი ფერმერის პაურსის საფუტკრეში ფუტკრის ოჯახის უდიდესი ნაწილი ჩვენებურია. თითოეული ოჯახიდან საშუალოდ 220-250 კილოგრამ თაფლს იღებენ. მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთი მილიონზე მეტი ფუტკრის ოჯახიდან ნახევარზე მეტი ქართული ჯიშისაა. ამჟამად ამერიკელები ქართული ფუტკრით ამარაგებენ არა მარტო საკუთარ ბაზარს, არამედ კანადას, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებს.

# სამყაროს კეთილი ელჩები





საქართველოდან „ქართული პატარძლები", როგორც მეფუტკრეებმა ფუტკრის დედებს შეარქვეს, ძირითადად მაის-ივნისში იგზავნება; განაყოფიერების შემდეგ მცირე ამალასთან ერთად, რომელიც ათეული მუშა ფუტკრისაგან შედგება. მათ ათავსებენ ახანთის კოლოფზე მოდიდო ფანერის ყუთებში (პაკეტებში), რომლებსაც გვერდებზე ხშირი ლითონის ბადე აქვს. გზაში მუშა ფუტკრები უვლიან დედაფუტკრებს, წმენდენ, ათბობენ, კვებავენ. პაკეტში საკვებად დებენ ფიჭიან თაფლს, ან თაფლისა და შაქრის პუდრის ცომს. თუ მგზავრობა ცხელ ქვეყნებში უწევთ — წყალსაც. მაგალითად, ბრაზილიასა, იაპონიასა და ინდოეთში გაგზავნისას, პაკეტში სველ ღრუბელს დებენ. ფუტკარი მოგზაურობას კარგად იტანს. იყო შემთხვევები, როცა გაუგებრობის გამო ამანათები ადრესატს არ ჩაბარდა და ორი-სამი კვირის შემდეგ უკან დაბრუნდა. ფუტკრები თავს კარგად გრძნობდნენ.

ქართული ფუტკარი ღალას შებინდებამდე იღებს. სხვა ჯიშებისაგან განსხვავებით წვიმიან ამინდშიც შრომობს. რაც მთავარია, მინდორშიც შეუძლია ღამის გათევა; მოიკალათებს ყვავილის გულში და ნექტარს წუწნის. დილით ადრე კი დიდი ნადავლით ბრუნდება, ადვილად პოულობს ნექტრის წყაროებსაც. სწრაფად ინაცვლებს ერთი თაფლოვანი მცენარიდან მეორეზე. ერთ დღეს შეუძლია ნექტარი შეაგროვოს აკაციიდან, მეორე დღეს — წაბლიდან, ან ცაცხვიდან. სხვა ჯიშის ფუტკარს კი წვრთნა ჰირდება, რაც მეფუტკრეებისაგან დიდ შრომას მოითხოვს. მთის რუხი ფუტკრის შრომისმოყვარეობაზე საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ფაქტი. რიაზანის ოლქის ინინის მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იგი განთქმულ შუა რუსეთისა და იტალიური ჯიშის ფუტკრებს შეაჯიბრეს. ქართული ფუტკრის პროდუქტიულობა თითქმის ორჯერ უფრო მაღალი აღმოჩნდა.

სხვა ჯიშის ფუტკარს ახასიათებს ეგრეთწოდებული ყრა, ზოგიერთი ფუტკარი სეზონში რამდენჯერმე აწარმოებს ყრას. სპეციალისტები ამაოდ შეეცადნენ ღალიანობის პერიოდში შეეზღუდათ კვერცხის დება და, მაშასადამე ყრაც. ქართული ფუტკარი კი ამისაგან დაზღვეულია — იგი კვერცხის დების თვითშეზღუდვის მემკვიდრულ თვისებას ფლობს.

უკანასკნელ წლებში სხვა დარგებთან ერთად მეფუტკრეობასაც მეტი ყურადღება ექცევა; მაგრამ კვლავ გადაუჭრელი რჩება მეფუტკრეობის განვითარების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

მეფუტკრეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, რასაც ადასტურებენ ქსენოფონტეს „ანაბაზისი", ვახუშტი ბატონიშვილის, ფრანგი მოგზაურის შარდენის ნაწერები და სხვა ისტორიული წყაროები. მეფუტკრეობის შემდგომი განვითარება, მთის რუხი ქართული ფუტკრის შენარჩუნება-გამრავლება ქართველ მეფუტკრეთა პატრიოტული და საშვილიშვილო საქმეა.

დავით ბიწაძე

# ნესვის ხე

ნესვის სამშობლოდ შუა აზია და მცირე აზია, აგრეთვე ამიერკავკასია ითვლება. ჩამოთვლილ მხარეებში არა მარტო ნესვის შორეული ველური წინაპრები ხარობენ, არამედ მათი მრავალი სახეობაც გვხვდება.

ნესვი უძველეს კულტურად ითვლება. იგი მეტად სასიამოვნო, სურნელოვანი, გემრიელი და სასარგებლო საკვებია.

შეიძლება ითქვას, რომ ნესვს ადამიანები, სულ ცოტა, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან იყენებდნენ საჭმელად. ჯიშისა და ადგილის მიხედვით, ნესვში შეიძლება იყოს 4-18 პროცენტამდე შაქარი, სხვადასხვა რაოდენობის ვიტამინები და სხვა საკვები ნივთიერებები. ნესვისაგან ამზადებენ ჩირს, თაფლს, მურაბას; მას აგრეთვე დიდი გამოყენება აქვს საკონდიტრო წარმოებაში.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ნესვი ძველ საქართველოში ძალიან საქებ ხილად ითვლებოდა. „ნესვი" ივანე ჯავახიშვილს დამოუკიდებელ ძველ ქართულ სახელწოდებად მიაჩნია.

საინტერესოა ნესვის ხის ნაყოფი, რომლის სამშობლო ინდოეთია. ხეზე წამოზრდილი ნესვი მეტად სურნელოვანია, სახამებლის დიდ რაოდენობას შეიცავს და მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საკვებს წარმოადგენს; საჭმელად ხმარობენ აგრეთვე ნესვის მოშუშულ თესლსაც.

ნესვის ხის ნაყოფი უმთავრესად მსხლის მსგავსი ფორმისაა. მისი სიგრძე ზოგჯერ 1 მეტრამდე აღწევს, სიგანე — 25-50 სანტიმეტრს, წონა ორნახევარ კილოგრამამდეა.

ნესვის ხე სწრაფად იზრდება, ნაყოფს მესამე წელს იძლევა. ხის სიმაღლე 9-10 მეტრზე მეტსაც აღწევს.

ინდოეთის პირველი ბინადარი — ნესვის ხე ამჟამად ყველა ტროპიკულ ქვეყანაშია გავრცელებული.

ნესვის ხემ ერთ-ერთი მეორე სამშობლო ჰპოვა საქართველოშიც. იგი კარგად შეეგუა შავი ზღვის სუბტროპიკულ რაიონებს, სწრაფად იზრდება და უხვ ნაყოფს იძლევა ბათუმის, სოხუმის, გაგრის ზონებში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნესვის ხიდან, რომელიც 10-15 წელი ცოცხლობს, 100-მდე სხვადასხვა ძვირფას სამკურნალო პრეპარატს ამზადებენ. კუჭნაწლავის დაავადების სამკურნალო ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება „პაპაინი" სწორედ ნესვის ხის ნაყოფისაგან მზადდება.

გიორგი დათუაშვილი



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# საქორწილო სუფრასთან

●

— მამიკო, ეს კაცი რატომ ჭამს ორი ყბით?
— მესამე ყბა არა აქვს და იმიტომ.



●

სტუმარი: ფხალი ვინ შეკაზმა?
დიასახლისი: მე.
სტუმარი: ღვინო?
დიასახლისი: ჩემმა ქმარმა.

●

ქალიშვილი: რა მოგწონთ ჩემში ყველაზე მეტად?
ვაჟი: თქვენი ჩამოსხმული ფეხები.
ქალიშვილი: ვეცდები, ჩამოუსხმელი თავი სხვას მოვაწონო.

●

ქალიშვილი: წამიყვანთ ცოლად?
ფეხბურთელი: თუ „ბ“ კორპუსიდან „ა“ კორპუსში გადახვალთ საცხოვრებლად, წაგიყვანთ.

●

— ქალები სვამენ, კაცები არა, რატომ?
— თამადა ავტოინსპექტორია და იმიტომ.

**თინათინ ხმალაძე**



# პირველად



● კალათბურთი გამოიგონა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უნივერსიტეტის სპორტულმა ინსპექტორმა ჯეიმს ნეისტმა 1891 წელს.

● კალათბურთის პირველი თამაში რუსეთში მოეწყო 1902 წელს.

● საჭადრაკო ოლიმპიადა ანუ „ერთა ტურნირი“ პირველად 1927 წელს მოეწყო.

● 1897 წლის 22 თებერვალს პეტერბურგში, იუსუპოვის ბაღში მოეწყო რუსეთის პირველი ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში.

ჩემპიონი გახდა ალექსანდრე პანშინი.

● ევგენი გრიშინმა მსოფლიოში პირველმა გაირბინა 500 მეტრი დისტანცია 40 წამზე ადრე.

● ვალერი ბრუმელი პირველი სპორტსმენი იყო, რომელსაც სამჯერ ზედიზედ მიენიჭა „წლის საუკეთესო სპორტსმენის“ საპატიო სახელი.

● 1947 წელს საბჭოთა შტანგისტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში.

საბჭოთა ნაკრებმა 26 ქულა დააგროვა და შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა.

● საბჭოთა ფეხბურთელებიდან ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ო. ბლოხინმა. მეტოქის კარში მან 8-ჯერ გაახვია ბურთი.

● ერთ თამაშში ყველაზე მეტი ბურთი (5) პირველად ლენინგრადელმა ფეხბურთელმა გ. შელაგინმა გაიტანა 1938 წელს. ეს რეკორდი მოხსნა თბილისელმა ი. დათუნაშვილმა. მან ერევნის „არარატის“ კარში ერთ ტაიმში შეძლო გაეტანა 5 ბურთი.

● 1975 წელს ო. ბლოხინმა ზედიზედ მეოთხედ პირველმა მოიპოვა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირის სახელი.

● ავსტრიელი გენერალი არტურ ფონ პონგრაცა დღემდე ყველაზე ხანდაზმული მოჯირითე სპორტსმენია, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა.

1936 წელს იგი 72 წლისა იყო, როცა ცხენით ჯირითში ყველას სძლია.

● პირველი საჭადრაკო ჟურნალი „პალამედი“ გამოვიდა პარიზში 1836 წელს. რუსეთში 1859 წელს გამოიცა პირველი საჭადრაკო ჟურნალი „შახმატნი ლისტოკ“.

# იშვიათი შემთხვევები



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უპრეცედენტო

1862 წელს ლონდონში გაიმართა საახალწლო საერთაშორისო ტურნირი, რომლის მოსაწყობად გულმოდგინედ ემზადებოდნენ ექვსი თვის მანძილზე.

ეს ტურნირი ჭადრაკის ისტორიაში დარჩა როგორც პარტიებზე მონაწილეთა გამოუცხადებლობისა და შეჯიბრებიდან თვითნებურად გასვლის უპრეცედენტო შემთხვევების ტურნირი.

ტურნირში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

შეჯიბრება, გადაღლის მომიზეზებით, პირველმა მიატოვა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა ლევენტალმა, რომელსაც შემდეგ მიჰყვა რაღაცაზე განაწყენებული ჰოლანდიელი მოჭადრაკე დიკონი.

ტურნირის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე შეჯიბრება მიატოვა საკმაოდ ძლიერმა მოჭადრაკე ბლეკბერმა, რომელსაც უკვე რამდენიმე გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული.

სამ პარტიაზე უმიზეზოდ არ გამოცხადებულა მოჭადრაკე რობი, ხოლო ორი გადამწყვეტი პარტია, დაუდგენელი მიზეზით, გამოტოვა ცნობილმა იტალიელმა მოჭადრაკემ მაესტრო დიუბუამ.

## თეთრზე შავით

1964 წელს ინსბრუკში, ოლიმპიურ სოფელში, საბჭოთა ჰოკეისტებს მოულოდნელად ჟურნალისტები და ფოტორეპორტიორები მიაწყდნენ. ყველა ღიმილითა და რაღაც უცნაური დაჟინებით მოითხოვდა საბჭოთა ნაკრების წევრის ლეონიდ ვოლკოვის ნახვას.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ახლად გამოსულ საოლიმპიადო ცნობარში თეთრზე შავი ასოებით იყო დაბეჭდილი:

„საბჭოთა ნაკრების წევრი ლეონიდ ვოლკოვი ჰოკეის თამაშობს 1593 წლიდან“.

## პელორუს-ჯეკი

1880 წელს პელორუს სრუტეში შეცურდა დელფინი, რომელიც მალე შეეჩვია მეზღვაურებს.

დელფინი ხალისიანად დაცურავდა გემების ირგვლივ, ჰაერში ხტებოდა, ანცობდა.

სრუტიდან მიმავალ და სრუტეში შემავალ გემებს დელფინი მეგზურობას უწევდა: წინ მიუძღვებოდა მათ, მოხერხებულად უვლიდა გვერდს მეჩეჩებს, გეზს აძლევდა გემებს და უხიფათოდ გაჰყავდა სახიფათო ზონიდან.

მეზღვაურებმა დელფინს პელორუს-ჯეკი შეარქვეს. ახალი ზელანდიის მთავრობამ სპეციალური კანონი გამოსცა „ლოცმანი“ დელფინის დასაცავად.

პელორუს-ჯეკი 30 წელზე მეტი ემსახურებოდა მეზღვაურებს.



# ძველი პრესის ფურცლებიდან

## რომენ როლანი საბჭოთა მთავრობაზე

საფრანგეთის ცნობილი მწერალი რომენ როლანი, წერილში, რომელიც მან გაუგზავნა გაზ „პოლიტიკენის“ ერთერთ თანამშრომელს, წერს შემდეგს: „მე აღტაცებული ვარ რუსეთის საბჭოთა მთავრობის კოლოსალური ორგანიზატორული და შემოქმედებითი ენერგიით. მოსკოვი ამჟამად წარმოადგენს მთელი მსოფლიოს გონებრივ ცენტრს“.

„კომუნისტი“ 1920 წ. № 2
20 ივნისი

## აღარ გვაცვია

შარშან მუშა-მოსამსახურეებს დაურიგდათ ფართლეულობა სულზე 15 თუმნის ღირებულებისა, ასე რომ პატარა ბავშვებს თუ შეუკერეს, თორემ თვითონ რას ეყოფოდათ. შეგვპირდნენ: მივიღებთ ახალ პარტიას და დამატებით დაგირიგდებათო. მას უკან გადის თვეები, მაგრამ სამწუხაროდ დაპირება დაპირებად რჩება. ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი მუშა-მოსამსახურეებისა ძონძებში გახვეული დაიარებიან და იშვიათ შემთხვევაში თუ აცვია ვინმეს რიგიანად.ხოლო მათი ცოლ-შვილი სირცხვილით კარში ვერ გამოსულა, რადგან ძველი ტანისამოსი სიმშილის გამო, გაყიდული აქვს.

„ახალი სხივი“ 1920 წ.
№ 34, 19 დეკემბერი.

## ქიროვის სიტყვა

„რუსეთის მუშათა კლასი და მისი მთავრობა არასოდეს არ ივიწყებს სხვა ქვეყნების დაჩაგრულ ამხანაგებს და არც საქართველოს მუშათა კლასი იქნება მის მიერ დავიწყებული... საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი მტკიცე და შეურყეველი როგორც ახლა“.

მისი მოხდენილ და ლამაზ სიტყვაში ცეცხლივით ანათებდა გმირული ბრძოლა და დაუშრეტელი ენერგია რუსეთის პროლეტარიატისა. მისი სიტყვა იყო გაბედული, ვაჟკაცური, როგორც უნდა იყოს საშინელი ბრძოლიდან სახელოვნად გამარჯვებულისა.

„საქართველოს კომუნისტი“
1920 წელი 19 ივნისი.

— პატივცემულო მობინადრევ, ახალი წელი უნდა მოგილოცონ ვლადივოსტოკიდან, ელაპარაკეთ! — ჩაშაქრა ყურმილი ტელეფონისტი გოგონას ალერსიანმა ხმამ.

— თუ შეიძლება, ვლადივოსტოკთან საუბარს რომ დავამთავრებ, მერე არხანგელსკთან შემაერთეთ! — ვთხოვე მე.

ის იყო დავამთავრე საუბარი ვლადივოსტოკში მივლინებით ჩასულ მეგობართან, რომ ყურმილი კვლავ აცახცახდა.

— თბომეურნეობის სამმართველოდან გაწუხებთ, თქვენ ბინაში ამ საახალწლოდ ხომ თბილა? — მკითხა დისპეტჩერმა.

— ძალიან გთხოვთ, წნევას დაუწიოთ, რადიატორები ისე ცხელია, მეშინია, ბავშვებმა ხელი არ დაიწვან, ბოლოს და ბოლოს სანამ უნდა ვაღოთ ფანჯრები? — გავბრაზდი მე.

— ჩვენ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორიდან გირეკავთ, ბინის ქირის დროულად გადახდისათვის დაჯილდოებული ხართ სამკერდე ნიშნით: „ყველაზე დისციპლინირებული მობინადრე“! — მახარა ვიღაცამ.

შემდეგ „თელასის“ ადმინისტრაციის წარმომადგენელმა დამირეკა — სინათლის ქირას რომ დროზე იხდით ელექტრომრიცხველის ლუქზე ხელი არ გიხლიათ და დენს არ იპარავთ, მადლობას გიცხადებთო.

ქუჩაში რომ ნაგავს არ ჰყრით, სადარბაზოშიც რომ სისუფთავეს იცავთ, ანონიმურ წერილებს რომ არ წერთ, მეზობლების საფოსტო ყუთებიდან ჟურნალ-გაზეთებს რომ არ იპარავთ, არავის ეჩხუბებით, ხელფასით რომ ცხოვრობთ და წესიერი ოჯახი რომ გაქვთ, უბნის ინსპექტორმა კაცია ფხიზლაძემ თქვენი გვარი შეიტანა სანიმუშო მობინადრეთა საპატიო სიაში! — მომილოცა მეოთხემ.

ბოლოს საახალწლო მაგიდას რომ მივუსხედით და შამპანურებით ბათქა-ბუთქი ავტეხეთ, კარები მთვარიდან ახალჩამოფრენილმა ექიმმა-სიცოცხლოლოგმა შემოაღო, რომელმაც შარშან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე — „რითია ადამიანი ყვავზე ნაკლები?!“

— ძვირფასო ამხანაგებო! იმ 2078 სვებედნიერ წელს გაუმარჯოს, როცა ჩვენი მასპინძელი ისევ ის პატარა, ხუჭუჭა ბიჭი იქნება! — თქვა ჩემზე და მიუხედავად იმისა, რომ ალკოჰოლის მავნებლობაზე დღეში ხუთ ლექციას კითხულობს, ღვინით სავსე უზარმაზარი ყანწი გამოცალა, მერე მე გადმომაწოდა და შიგ გასაახალგაზრდავებელი წამალი ჩამისხა.

— ბევრი არ მოგივიდეს, შე შერჩენებულო, თორემ ბავშვად გადაიქცევი და შენი გაზრდის თავი მაქვს?! — შეჰკივლა ჩემმა ცოლმა იუპიტერინამ.

ტკბილად დამიბერდით-მეთქი, დავლოცე და გასაახალგაზრდავებელი წამლით გაპიპინებული ყანწი პირზე რომ მოვიყუდე... კაკუნმა გამომაღვიძა.

— ახალი წელი მოდის, ათი თვის ბინის ქირა გადაიხადე, თორემ ამხანაგურ სასამართლოზე გადაგცემთ! — დამემუქრა საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენელი და კარები მიიჯახუნა.

ვანო ცინცაძე

## საახალწლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის მოზრდილთა ჯგუფში ასეთი საახალწლო შეკითხვით მიმართეს ბავშვებს:

— რას იზამდით, ყოვლისშემძლე თოვლის ბაბუა რომ გახდეთ?

აი, ზოგიერთი მათი პასუხი:

— ისეთ წამალს გამოვიგონებდი, რომ ჩემმა პატარა ძმამ პეტიამ ყოველ დილით აღარ იტიროს.

— დედას და მამას ავუკრძალავდი, რომ ძალით მაჭამონ.

— ჩვენ სასადილოში რომ ჩიტის ფიტულია, გავაცოცხლებდი და ცაში გავუშვებდი.

— ისეთ საბავშვო ტელევიზორს გამოვიგონებდი, რომ რამდენიც მინდა, იმდენი ვუყურო. ბებია ველარ მეტყვის, ნუ უყურებ, ეს საბავშვო გადმოცემა არ არისო.

— ვუბრძანებდი, რომ დიდ ძიებთან ერთად კოსმონავტებად საბავშვო ბაღის მოზრდილთა ჯგუფის ბავშვებიც მიიღონ...

აი, ასე ფიქრობენ და მსჯელობენ ჩვენი პატარები.

კეთილი იყოს ახალი წლის მობრძანება მათთვის!

●

ეს საახალწლო ჩვევა ამ 50-ოდე წლის წინათ დამკვიდრდა ბრაზილიაში.

ახალი წლის ღამეს ქალაქ სან-პაულოს გაჩირაღდნებულ ქუჩებში სტარტს იღებენ სპორტსმენები ათკილომეტრიან დისტანციაზე სირბილში.

ამ მასობრივ ღონისძიებაში 12000 მორბენალი მონაწილეობს. სპორტსმენები ჩამოდიან ევროპიდან, აზიიდან, აფრიკიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან.

საახალწლო ღამეს სან-პაულოში გამართულ სპორტულ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია საბჭოთა მორბენალს — ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს ვლადიმერ კუცს, ეთიოპელ აბებუ ბიკილას და სხვა საქვეყნოდ სახელგანთქმულ მორბენალებს.

შეჯიბრებას სტარტი ეძლევა თორმეტი საათის მოახლოვების დროს და მისი ფინიში ახალი წლის შემობრძანების შემდეგ ხდება.

ეს შეჯიბრი ყოველი გასული წლის ბოლო და ყოველი ახალი წლის პირველი სპორტული ღონისძიებაა.

ხალხის რწმენით, ორი წლის მიჯნაზე ერთდროულად ჩატარებულ შერკინებაში მონაწილე სპორტსმენს საუკეთესო წარმატებები ელის ახალ წელს.

●

ახალი წლის დადგომას ავლანეთსა და ირანში მარტში ზეიმობენ, ბირმაში — აპრილში. ამ დროს ბირმაში უკვე პაპანაქება სიცხეა. მოზიემეი ხალხი ერთმანეთს წყლით წუწავენ.

განაში, საახალწლო ტრადიციის მიხედვით, ყველა წაჩხუბებული მოვალეა, წყენა დაივიწყოს და დამდურებულს შეურიგდეს.

იტალიაში, როგორც წესი, საახალწლოდ ფანჯრებიდან ისვრიან მოძველებულ და გაბზარულ-გატეხილ ნივთებს.



# თითქმის ლეგენდები

მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატზე... წიწაკის ჭამაში პირველი ადგილი დაიკავა 26 წლის ტეხასელმა (აშშ) ხუან ოლვარესმა.

ერთი საათის განმავლობაში მან შეჭამა 90 მწარე წიწაკა.



ამას წინათ 8 საათსა და 10 წუთზე მიუნხენის რკინიგზის სადგურში შეგრიალდა სამგზავრო მატარებელი, რომელშიც არ იყვნენ... არც მგზავრები და არც მემანქანე.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ ელექტრომატარებელმა მოძრაობა დაიწყო ბავარიის ერთ-ერთ რკინიგზის დეპოდან, სადაც მემანქანეს დაავიწყდა მუხრუჭები გამოერთო კუთხეში მიყენებული მატარებლისთვის.

მატარებელი საათში 25 კილომეტრის სიჩქარით მიდიოდა, 40 წუთი იარა და ყოველგვარი ავარიის გარეშე შევიდა მიუნხენის სადგურის ჩიხში.



ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ფირმამ ამას წინათ მომხმარებლებს შესთავაზა საფულე, რომელიც ქურდებისაგან საიმედოდ იცავს ფულს.

საფულე სპეციალური მოწყობილობით მაგრდება შარვლის ქვეშ... წვივზე.



ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა მუსიკალურმა გამომცემლობამ თავისი შენობის კედელი მოხატა... რაველის ნაწარმოების ნოტებით.

ამ ამბავმა ძალიან გაანაწყენა ცნობილი კომპოზიტორის თაყვანისმცემლები.

საქმე იმაში გახლდათ, რომ მღებავებმა კედელზე ნოტების გადაწერის დროს, ორი შეცდომა დაუშვეს.



ცნობილმა იუმორისტმა არტ ბუხვალდმა ამასწინათ კონკურსში გამარჯვებისათვის მიიღო პირველი პრემია 100.000 ცენტის ოდენობით.

იუმორის საერთაშორისო საზოგადოებამ იუმორისტ მწერალს პრემია გადასცა მონეტებით, რომელთა საერთო წონა 100 კილოგრამზე მეტი იყო.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამჟამად თუთუნს არ ეწევა მოზრდილი მოსახლეობის... 57 პროცენტი.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, თუთუნის მწეველთა რიცხვი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდა.

ეს მდგომარეობა გამოწვეულია არა ნიკოტინთან და ჯანმრთელობის დაცვისათვის ბრძოლით, არამედ მხოლოდ იმით, რომ თუთუნის წევა ამჟამად... მოდაში აღარ არის.





# კროსვორდი

**შვეულად:** 1. ბატალური ფერწერის სპეციალისტი-მხატვარი. 2. საერთო სახელწოდება ისეთი სასურსათო საქონლისა, როგორიცაა ჩაი, შაქარი, ფხვნილი და სხვა მისთან. 3. დარვინიზმის ფუძემდებელი. 5. ჭადრაკში საერთაშორისო ოსტატი ქალის სახელი. 7. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „ელგუჯას“ პერსონაჟი. 10. მრავალწლიანი ტროპიკული მცენარის ნაყოფი. 11. თქმულება. 13. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბრძოლის ხერხები. 14. ეტიკეტი. 15. ზ. ფალიაშვილის ოპერა. 16. დიდი ქართველი მგოსანი. 20. ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოებიდან გამოდის სიტყვა ან წინადადება. 22. საგნის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა. 23. ფეხბურთელთა გუნდის თავდამსხმელთა ხუთეულის წევრი. 24. საჰაერო ფლოტი. 25. ერთ-ერთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 4. დედამიწის ჩრდილოეთ-პოლარული მხარე. 5. ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალის სახელი. 6. ერთ-ერთი რაიონული ცენტრი საქართველოში. 8. ჭადრაკის ფიგურა. 9. ბრძოლა. 12. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა. 15. საკრავი ინსტრუმენტი. 17. ხელსაწყო სითხის ან გაზის წნევის გასაზომად დახურულ სივრცეში. 18. მატერიკი, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ნახევარსფეროში. 19. სახელმწიფო დასავლეთ აზიაში. 21. ტეხილი ხაზი. 24. სრული უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი. 26. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც მაგრდება საჭრისი. 27. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები. 28. უძველესი დროის ცნობილი სიმებიანი საკრავი. 29. მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე.

ჟურნალ „დროშის“ № 12-ში გამოქვეყნებული კროსვორდის

პასუხები:

**თარაზულად:** 1. ძნელაძე; 8. პანდერო; 9. რიხტერი; 10. ალტი; 11. იოტი; 13. ბხარატა; 17. ლაისტი; 18. ტალინი; 19. ტამტამი; 20. ნასიძე; 22. სამაია; 24. ინფიქსი; 27. გობი; 29. ლიგა; 30. ლეონიძე; 31. ამირანი; 32. ვიოლინო.
**შვეულად:** 2. „ეროიკა“; 3. „ავრორა“; 4. დავლური; 5. ადლი; 6. ოტსი; 7. ტრიტონი; 12. სულინგი; 13. ბრიტენი; 14. როსტანი; 15. არტისტი; 16. პეიზაჟი; 21. „სალომეა“; 23. არაგონი; 25. ფერერო; 26. ქორალი; 28. იონი; 29. ლირუ.

გადაეცა ასაწყობად 9. 12. 77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 01. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 54.000. შეკვ. 3653. უე 00614. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— შე კაი კაცო, არა გრცხვენია, დაუმთავრებელ სახლს რომ მაბარებ?




მხატვარი

# ჯემალ ლოლუა



— ქალო, რომ შემჭამე მრგვალი მაგიდა იყიდეო. რა ვქნა ახლა? რომელია სუფრის თავი, სად დავსვა ჩემი დირექტორი?

— აბა ნახე, სიგარეტი ხომ არ შეგხვდა?



ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა

სალუტი თბილისში. ალექსანდრე საპოვის ფოტო

# დროშა